სკოლის მართვა

#1, 2023



ISSN 1512-0279

მშობლებისა და სკოლის თანამშრომლობის საგანმანათლებლო პოლიტიკური ასპექტები

მშობელთა ჩართულობა სასკოლო განათლებაში – კონცეპტუალური ჩარჩო და გლობალური ტენდენციები

სკოლებისა და ოჯახების პარტნიორობა მოსწავლეთა აკადემიური და სოციო-ემოციური წარმატების უზრუნველსაყოფად

სკოლისა და მშობლების ურთიერთთანამშრომლობის წარმატებული საერთაშორისო პრაქტიკა

მშობლის საგართლებრივი გარანტიები და მათი აღსრულების მექანიზმები საჯარო სკოლის მმართველობით პროცესებში

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნებს:
„განმავითარებელი შეფასება სასწავლო პროცესში“
„კვლევაზე დაფუძნებული სწავლება“

სკოლის მართვა

#1, 2023

გამომცემელი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

სარედაქციო კოლეგია

ბერიკა შუკაკიძე
განათლების დოქტორი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი

დავით ხვედელიძე
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე

მაია არაპიაშვილი
სოციოლოგიის დოქტორი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ანალიტიკური სამსახურის უფროსი

ნატალია ინგოროყვა
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საინფორმაციო-საგანმანათლებლო და მეთოდური რესურსების პროგრამის მენეჯერი

ხათუნა ბარამიძე
პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის დაწყებისა და კარიერული წინსვლის მხარდაჭერის პროგრამის ხელმძღვანელი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

დენის ბურწვანია
განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის შიდა აუდიტის სამმართველოს უფროსი, განათლების სამართლის მკვლევარი

კახა ჩხარტიშვილი
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის იურიდიული სამსახურის უფროსი

მთავარი რედაქტორი:
ნათია ნაცვლიშვილი

კორექტორი:
მაია წიკლაური

ფოტოგრაფი:
გელა გედიანაშვილი

დიზაინერი:
გესლავ დანელია

საკონტაქტო ინფორმაცია:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

მისამართი:
თბილისი, სანდრო ეულის ქ. 5,
ელფოსტა: skolismartva@tpdc.ge

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ჟურნალის რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1512-0279

www.tpdc.ge

ნათია ნაცვლიშვილი

მთავარი რედაქტორის სვეტი

1916 წელს სამეცნიერო-პედაგოგიურ და სალიტერატურო ჟურნალ „განათლების“ ფურცლებიდან ილია ნაკაშიძე მშობლებს მიმართავს და უხსნის იმას, რასაც დღესაც მონდომებით იმეორებენ, საგანმანათლებლო-პოლიტიკური რეკომენდაციებითა და კვლევებით ამყარებენ განათლების სისტემის მესვეურები მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

სტატიაში „მშობელთა ერთობა“ ავტორი მონდომებით უხსნის მშობლებს, რომ დე-დამიწის ზურგზე ვერანაირი ძალით საზოგადოებრივი აზრი ვერ შეიქმნება, თუ თავად საზოგადოების წევრებმა არ მიიღეს მასში მონაწილეობა; რომ მომავალი თაობა ვერ იწამებს იმის ღირსებას, რის რწმენასაც ჩვენ, უფროსი თაობა ვერ დავანახებთ; რომ კრიტიკის ნაცვლად, ერთიანი ძალისხმევაა ის, რაც სწავლა-განათლების სისტემისა და სკოლის განვითარებას სჭირდება.

სტატიის ბოლოს ავტორი იმედიანად აღნიშნავს, რა კარგია, რომ ჩვენთანაც იდგმება ნაბიჯები ამ მიმართულებითო – მშობლები ერთიანდებიან, თვითაღზრდას მიმართავენ, იმართება მშობელთა კლუბები და შეხვედრები და ეს ყოველივე კი ბუნებრივად იწვევს დადებით შედეგებს ბავშვებშიო.

ყველა კვლევა, რომელიც მოსწავლის შედეგებსა და სწავლა-სწავლების ხარისხზე მოქმედ ფაქტორებს ეხება, გვეუბნება სწორედ ამას – მშობლის ჩართულობა, სკოლისა და მშობლების პარტნიორობა არის მოსწავლის შედეგებზე ერთ-ერთი ყველაზე მაღალი გავლენის მქონე ფაქტორი. ამავე დროს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებულმა არაერთმა კვლევამ გამოავლინა, რომ სკოლებს ძალიან სჭირდებათ სათანადო ინფორმაცია მშობელთა პედაგოგიზაციის, მათი ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

შესაბამისად, ჩვენი ჟურნალის მიმდინარე ნომერიც მშობელთა ჩართულობის, მშობლებთან თანამშრომლობის, მშობელთა პედაგოგიზაციის თემებს ეძღვნება.

ზემოთ ნახსენები სტატიის გარდა, რომელიც 100 წელზე მეტს ითვლის, მაგრამ მისი შინაარსი მაინც ახალი და აქტუალურია, წარმოგიდგენთ მშობლებთან თანამშრომლობის პოლიტიკურ ასპექტებს, კონცეპტუალურ ჩარჩოებს, ამ კუთხით არსებულ წარმატებულ გამოცდილებას, კვლევებს, კვლევის ინსტრუმენტებს, პრაქტიკულ რჩევებს, საკანონმდებლო რეკომენდაციებსა და სასკოლო გამოცდილებებს.

სკოლა საერთო პასუხისმგებლობის სფეროა და, როგორც ჩვენი ნომრის საუკუნისწინანდელი ავტორი იტყოდა, „დავეხმაროთ ამ საქმეში ყველამ, ვისაც რითიმე შეგვიძლია“, რომ სკოლამ და მშობელმა თანამშრომლობის საუკეთესო გზები გამონახონ ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასაცავად.

შინაარსი N1, 2023

03 — განათლების ისტორია
ილია ნაკაშიძე
მოზეიმეთა ერთობა

06 — მთავარი თემა
ბერიკა შუკაკიძე
მოზეიმეებისა და სკოლის თანამშრომლობის საგანმანათლებლო პოლიტიკური ასპექტები

11
თეონა სილაგაძე
მოზეიმეთა ჩართულობა სასკოლო განათლებაში – კონცეპტუალური ჩარჩო და გლობალური ტენდენციები

19 — კვლევა
მაია არავიაშვილი
სკოლებისა და ოჯახების პარტნიორობა მოსწავლეთა აკადემიური და სოციო-ემოციური წარმატების უზრუნველსაყოფად

22
მოზეიმეთა კმაყოფილების კვლევა

25
პუნქტების ჩამონათვალი, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს მოზეიმეთა ჩართულობის პროგრამაში

26 — მთავარი თემა
სალომე ჩხეიძე
მოზეიმეთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში და მოზეიმეთა პედაგოგიზაცია

30 — პრაქტიკული რჩევები
ხათუნა გარაგაძე
პრაქტიკული რჩევები სკოლაში მოზეიმეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად

33 — საერთაშორისო გამოცდილება
ნინო გაგელიძე
სკოლისა და მოზეიმეების ურთიერთთანამშრომლობის წარმატებული საერთაშორისო პრაქტიკა

45 — სკოლა და კანონმდებლობა
დენის ფურფუშია
მოზეიმის სამართლებრივი გარანტიები და მათი აღსრულების მექანიზმები საჯარო სკოლის მმართველობით პროცესებში

49
ნატა ვაჭარაძე
ხელშეკრულება სკოლასა და მოსწავლის მშობელს შორის, როგორც მხარეთა პასუხისმგებლობის მექანიზმი

52 — შესაძლებლობების სკოლა
თამუნია ჭინჭარული
მოზეიმეთა ჩართულობა შვილების წარმატებისთვის – პროექტი „დემოკრატია იწყება სკოლაში"

54 — სასკოლო პროექტები
სოფიო ხვედელიძე
უფლებებისა და თავისუფლებების სწავლება – დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ჩარჩოს გამოყენებითა და მოზეიმეთა ჩართულობით

მოგვალთა ერთობა

საეკლესიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი „განათლება“
1916 წელი, #7

ილია ნაკაშიძე

თვით მოქმედებასა და ერთურთის დახმარებას რომ მოკლებული ვართ – ეს არის ძირითადი ბოროტება, რომელსაც დიდი ზარალი მოაქვს ჩვენი საზოგადოებისათვის.

თვით მოქმედებასა და ერთურთის დახმარებას რომ მოკლებული ვართ – ეს არის ძირითადი ბოროტება, რომელსაც დიდი ზარალი მოაქვს ჩვენი საზოგადოებისათვის. თითოეული ჩვენგანი თითქოს შეეჩვია მრავალწლობითს გარეგანს მზრუნველობას, რომელსაც არავითარი ბედნიერება არ მოაქვს, თითოეული ჩვენგანი ზის უძრავად, მოსაწყენ მოლოდინში ატარებს დროს და გვგონია რაიმე გარეგანი ძალა გამოიჩენს სასურველს მოქმედებას, ჩვენ გვგონია, რომ ჩვენს გარეშეა საიდუმლო „რაღაც“, რომელიც ჩვენს ბედს ჰქმნის. ჩვენ ვერ შევჩვევივართ ფიქრს, ტვინის მოძრაობას და ვერ ვგრძნობთ, რომ კაცობრიობის მთელი პროგრესი ღვთის სასუფევლისადმი დაახლოებაა, ცხოვრების საბედნიეროდ მოწყობაა, რომელიც შეიქმნების თავისი თავისადმი ძალდატანებით, თითოეული ადამიანის მიერ თავისთავზე გამარჯვებით.

„რა ჩუმია აზრი! ნელის ნაბიჯებით მიდის იგი წინ, და არ სჩანს მასზე ფრიალა დროშა, ფოლადის ხიშტების ბრწყინვალება, არ ისმის იარაღთა გამარჯვებული გრგვინვა. მაშინ, როცა მთელი ქვეყნის შეიარაღებულ ძალასაც არ ძალუძს შეაყენოს ყოვლად შემძლებელი აზრის წინსვლა“.

ამ აზრის გამომთქმელი ღრმა მოაზრე ინგლისელი კარლეილი მთელის თავისის არსებით ღრმად გრძნობდა, რომ საზოგადოებრივი აზრის უძლიერესი წინ მოძრაობა შესდგება იმ ნაბიჯებისაგან, რომელსაც თითოეული კერძო ადამიანი გადადგამს წინ ცხოვრებაში.

ჩვენ კი ერთს ადგილს ვსტკეპნით ფეხით, რადგან არ გვინდა აზროვნება ან, უკეთ რომ ვსთქვათ, ძლიერ დუნედ ვაზროვნებთ, ძალაუნებურად, ზარმაცად, არა გვაქვს არავითარი რწმენა თავისი თავისა და თავისი ძალებისა. მაშინ, როცა „ყველაზე უსაშინლესი ურწმუნოება – თავისი თავისადმი ურწმუნოებაა“.



სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

განათლება

[წელიწადი მეცხრე]

№ 7 ენკენისთვე, 1916 წელი № 7

» ჩვენი გავშვეგი ერთს ადგილზე დგანან, სტკეპნიან ერთს ადგილს იმიტომ, რომ ჩვენც ასე ვიქცევით. საკვირველი, სასაცილო და უსამართლოგა იქნეგოდა, მოგვეთხოვა გავშვეგისაგან მაღალი მიზნისკენ მისწრაფეგა, რომელიც ჩვენ თვითონ არა გვრწამს და რომლისკენაც თვითონ არ მივისწრაფვით. ჩვენ გვინდა, რომ ჩვენმა პატარა გავშვეგმა დაინახონ და შეიყვარონ ის, რის დანახვა და შეყვარეგა ჩვენ, უკვე მოხუცეგულეგს, ჭაღარაშერთულეგს არ გვინდა.

საჭიროა გაინძრეს, ამოძრავდეს რომელიმე ჩვენგანი, რომ დავინახოთ, როგორ ამოძრავდებიან ცოტ-ცოტად და შეიძრებიან ჩვენს გარშემო მყოფნი. მოძრაობა აზრის დაუშრეტელი ენერგიაა, იგი გადამდებია სხვა ხალხზე; ეს შემოქმედების გადამდებლობაა, ახალი გზების აღმოჩენაა, ჯერ უცნობის, მაგრამ ცხოვრების ფრიად საბედნიერო მომავლისკენ მიახლოებაა.

ეს მოძრაობის გადამდებლობაა, თავისთავზე მუშაობა, ყველაზე უფრო თვალსაჩინოა აღზრდისა და თავის თავის აღზრდაში, რომელიც ცხოველმყოფელი ინტერესებით აღსავსეა თითოეულისათვის. თითოეული ჩვენგანი გრძნობს, რომ ჩვენი ბავშვები იმიტომ არ მიდიან წინ, იმიტომ არ აქვთ არავითარი რწმენა, რომ ვერ ჰხედავენ ვერც ოჯახსა და ვერც სკოლაში ვერავითარ მაღალ რწმენის განხორციელებას, რომელსაც უნდა ხელი ჩასჭიდონ. ჩვენი ბავშვები ერთს ადგილზე დგანან, სტკეპნიან ერთს ადგილს იმიტომ, რომ ჩვენც ასე ვიქცევით. საკვირველი, სასაცილო და უსამართლობა იქნებოდა, მოგვეთხოვა ბავშვებისაგან მაღალი მიზნისკენ მისწრაფება, რომელიც ჩვენ თვითონ არა გვრწამს და რომლისკენაც თვითონ არ მივისწრაფვით. ჩვენ გვინდა, რომ ჩვენმა პატარა ბავშვებმა დაინახონ და შეიყვარონ ის, რის დანახვა და შეყვარება ჩვენ, უკვე მოხუცებულებს, ჭაღარაშერთულებს არ გვინდა.

ამ სახით, ჩვენ „მხოლოდ მაშინ შეგვიძლია მივიზიდოთ, შევუერთოდ სათნოებას ბავშვები, როცა ჩვენ თვითონ მჭიდროდ მოვეჭიდებით მას“.

ეს გატაცება, სიკეთისადმი სიყვარული ჩვენი თავისადმი პირადი ძალდატანების შედეგი შეიქნება. იმავე დროს ფრიად დიდს სამსახურს გაგვიწევს ურთიერთშორისი დახმარება, ადამიანთა შორის სოლიდარობის გრძნობა. აზრის მუშაობა გამოცოცხლდება, გრძნობაც სიცხადესა და სიცოცხლეს შეიძენს, სულში სიამოვნება დაისადგურებს, როცა დავინახავთ, რომ ყველასთვის ძვირფასი ის არის, რაც თითოეულისათვის.

„კრიტიკა ადვილია, ხელოვნება — ძნელი საქმეაო“, ამბობენ ფრანგები. ამით უნდა აიხსნას ერთის შეხედვით საოცარი მოვლენა, რომ დღემდის ჩვენ, უფროს ერთ შემთხვევაში, დროს აწინდელ სკოლის კრიტიკას ვანდომებთ და მცირე თვითმოქმედებას ვიჩენთ, რომ თავი დავახწიოთ აწინდელს მძიმე მდგომარეობას. მაშინ, როცა თითოეულს ჩვენგანს თავის თავზე გამოუცდია სიდუხჭირე აწინ-



ამ დარგშიაც დიდი მნიშვნელობა ექნება ადამიანებში ურთიერთს დახმარებას. ადამიანები ერთმანეთში განსხვავდებიან, ისინი სხვადასხვანაირნი არიან როგორც სულიერის განწყობილებით, აგრეთვე ცხოვრებაში გამოცდილებითაც. თავის ცხოვრების გამოცდილების გაზიარება თავის მოყვასთან, მის გამოცდილების შევსებას, გამდიდრებასა ნიშნავს. ამ მხრით შეერთება ადამიანებისა თვითგანვითარების, თვითშეგნების და წინ მოძრაობის სკოლას წარმოადგენს.

ფრიად სანუგეშო მოვლენაა, რომ ბოლო დროს აქა-იქ ჩვენშიაც თავს იჩენს მშობელთა თაოსნობა თვითაღზრდის მიზნით და, როგორც ამის ბუნებრივს შედეგს, ბავშვების ბუნებრივსა და გონივრულს აღზრდასაც მისდევენ. იმართება მშობელთა და აღმზრდელთა კლუბები, რაც ფრიად საჭირო მოთხოვნილებას შეადგენს ცხოვრებაში. დავეხმაროთ ამ საქმეში ყველამ, ვისაც რითიმე შეგვიძლია.

ილია ნაკაშიძე

ამ მხრით შეერთება ადამიანებისა თვითგანვითარების, თვითშეგნების და წინ მოძრაობის სკოლას წარმოადგენს. ფრიად სანუგეშო მოვლენაა, რომ ბოლო დროს აქა-იქ ჩვენშიაც თავს იჩენს მშობელთა თაოსნობა თვითაღზრდის მიზნით და, როგორც ამის ბუნებრივს შედეგს, ბავშვების ბუნებრივსა და გონივრულს აღზრდასაც მისდევენ. იმართება მშობელთა და აღმზრდელთა კლუბები, რაც ფრიად საჭირო მოთხოვნილებას შეადგენს ცხოვრებაში. დავეხმაროთ ამ საქმეში ყველამ, ვისაც რითიმე შეგვიძლია.

დელის სწავლა-განათლების სისტემისა. ის ნიადაგი, რომელმაც ცუდი მოსავალი მოგვცა, ჩვენს გარეშე კი არა, ჩვენშივეა, ჩვენს საკუთარს სულში. განა ვის ვიცნობთ ჩვენ ჩვენს თავზე უკეთესად?

შეიძლება, მაგალითად, არ იცოდეს კაცმა აგრონომია, შეიძლება ისე მოკვდეს ადამიანი, არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდეს აგრონომიისა, რადგანაც იგი ცოდნის სპეციალური დარგია, რომელიც გვასწავლის ადამიანის ენერგიის გამოყენებას გარშემო ბუნებაში.

მაგრამ თავისი თავის უცნობლობა, სიკვდილი ისე, რომ თავისი თავი და თავისი სულიერი ცხოვრების კანონები არ იცოდეს ადამიანმა — შეუძლებელია. ამიტომ თითოეული ჩვენგანი უნებლიეთი პედაგოგია თავისი თავისა: მან იცის, რა განვითარდა მახინჯად მის სულში სკოლის წყალობით, რა ღრმა დაღი დააკრა მის სულს განვლილმა ცხოვრებამ. თითოეულმა ჩვენგანმა იცის რაზე უნდა იმუშაოს, რას უნდა ცდილობდეს, რომ გაასწოროს თავის საკუთარს ბუნებაში. მაგრამ ჩვენ მაინც უძრავად ვართ.

ამ დარგშიაც დიდი მნიშვნელობა ექნება ადამიანებში ურთიერთს დახმარებას. ადამიანები ერთმანეთში განსხვავდებიან, ისინი სხვადასხვანაირნი არიან როგორც

გერიკა შუკაკიძე

მასწავლებელთა პროფესიული განათლების ეროვნული ცენტრის დირექტორი

მშობლებისა და სკოლის თანამშრომლობის საგანმანათლებლო პოლიტიკური ასპექტები

» პოსტმოდერნულ საზოგადოებაში ბავშვის კეთილდღეობა მხოლოდ და მხოლოდ სასკოლო საზოგადოების ძალების გაერთიანებით შეიძლება იქნეს მიღწეული.

ბავშვის განვითარებაში მშობლის როლის ისტორიულად აღიარებული მნიშვნელობა ბოლო რამდენიმე ათეული წელია, რაც სახელმწიფო და საერთაშორისო საგანმანათლებლო პოლიტიკის რანგში იქნა აყვანილი. ამ მნიშვნელობას ამყარებს არაერთი პოლიტიკური ხასიათის დოკუმენტი, დაწყებული ბავშვთა უფლებების კონვენციიდან, სადაც 43-54 მუხლებში მკაფიოდ არის საუბარი იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთონ სახელმწიფომ და ზრდასრულმა ადამიანებმა კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, დამთავრებული სხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი რეგულაციით, რომელსაც ეყრდნობა ამა თუ იმ ქვეყნის განათლების სისტემა.

როგორც მაიკლ ფულანი ამტკიცებს (2007), დღევანდელ, ინფორმაციისა და ტექნოლოგიების ეპოქაში ბავშვის აღზრდა-განათლების პასუხისმგებლობის მხოლოდ მასწავლებლებზე (და, ზოგადად, მხოლოდ სკოლაზე) დაკისრება არაეფექტურია. მკვლევრის მტკიცებით, პოსტმოდერნულ საზოგადოებაში ბავშვის კეთილდღეობა მხოლოდ და მხოლოდ სასკოლო საზოგადოების ძალების გაერთიანებით შეიძლება იქნეს მიღწეული. მშობლების სასკოლო ცხოვრებაში სრულფასოვანი ჩართვის პოლიტიკაზე მომუშავე ჯგუფმა, მინიმუმ, ორი გამოწვევა მაინც უნდა გაითვალისწინოს, რაც, გარკვეულწილად, აფერხებს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ძალების გაერთიანებისა და თანამშრომლობის პროცესს:

1. **ცვლილების მიმართ ადამიანების ნეგატიური განწყობა** – როგორც შლეიხერი (2018) ასკვნის, PISA-ს საერთაშორისო შეფასების 20 წლიან გამოცდილებაზე დაფუძნებით: „მშობლების უმეტესობას მოსწონს განათლების რეფორმის იდეა, თუმცა ეწინააღმდეგება, რომ რეფორმის დანერგვა და გამოცდა მათი შვილების სკოლაში, მათი სწავლის დროს განხორციელდეს.“ ეს ერთგვარი დიქოტომია არ არის ადამიანის ბუნებისთვის უცხო. როგორც რობინსი და ჯაჯი (2008) ამტკიცებენ, ადამიანის ცვლილების მიმღებად, მით უმეტეს, ინიციატორად გადაქცევა რთული საქმეა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ადამიანების დიდი უმრავლესობა ბუნებრივად რეზისტენტულია ცვლილების მიმართ;

2. **საგანმანათლებლო ცვლილებების არსის გაგება-გააზრება** – ფულანს (2007) რთულად უარსაყოფი არგუმენტი მოჰყავს: „სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და მასწავლებლები, კვირის განმავლობაში, საშუალოდ, 40-60 საათს ატარებენ სკოლაში. და, მიუხედავად ამისა, ერთეულები თუ ერკვევიან საგანმანათლებლო ცვლილებების არსში სრულად. თქვენ წარმოიდგინეთ, ამ მიმართულებით რა მდგომარეობა იქნება მოსწავლეთა მშობლების შემთხვევაში.

ზოგადი და ფართომასშტაბიანი ხედვის მიღმა, ხშირად, გამოწვევის უფრო კარგად გასაცნობიერებლად, ემპირიული მტკიცებულებები, რეალური სიტუაციების აღწერა უფრო გვეხმარება. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული გამოკითხვები სავალალო შედეგებზე მიუთითებს. გამოკითხულთა აბსოლუტურმა უმრავლეობამ არ ან ცუდად იცის, თუ როგორ ეთამაშოს ბავშვს, თუ როგორ გაატაროს ბავშვთან 3-4 საათი და როგორ შესთავაზოს მისთვის (ბავშვისთვის) საინტერესო და სახალისო აქტივობები. პანდემიის პერიოდში, ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ სასკოლო საზოგადოებისთვის შეთავაზებულ 134 ვებინარს შორის, ინტერესის თვალსაზრისით, აბსოლუტური ლიდერი იყო ვებინარი ბავშვებთან თამაშის შესახებ. საყურადღებოა, რომ სწორედ ეს გახლდათ ერთადერთი ვებინარი, რომელსაც 88 000-ზე მეტი მაყურებელი დაესწრო და მეტიც, მათმა უმრავლეობამ კიდევ ისურვა ასეთი ტიპის მომსახურების გაწევა.

ინტერნეტისა და სხვადასხვა ტიპის მოწყობილობების (გაჯეტების) ადვილმა ხელმისაწვდომობამ, გარკვეულ შემთხვევაში, სრულად ჩაანაცვლა მშობელი. ბავშვი თავისი აქტიური დროის უმეტეს ნაწილს სწორედ გაჯეტებთან, სრულიად სხვა სამყაროში ატარებს. მშობლებთან გაუცხოების საშიშროების მაღალი რისკის გარდა, არანაკლებ საფიქრალია ის კონტენტი, რომელსაც მოსწავლე ვირტუალური სამყაროდან იღებს. საკმაოდ დაბალია მშობლებში კიბერუსაფრთხოების საკითხების შესახებ ცოდნა. კიბერბულინგის პრევენციის მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი მშობლებს სთავაზობს ტრენინგებს/შეხვედრებს, სადაც მონაწილეები იღებენ ინფორმაციას კიბერბულინგისა და მისი ფორმების შესახებ. კიბერბულინგის შემთხვევაში, არასასურველი შედეგის თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია მშობლის სწორი

ინტერნეტისა და სხვადასხვა ტიპის მოწყობილობების (გაჯეტების) ადვილმა ხელმისაწვდომობამ, გარკვეულ შემთხვევაში, სრულად ჩაანაცვლა მშობელი. ბავშვი თავისი აქტიური დროის უმეტეს ნაწილს სწორედ გაჯეტებთან, სრულიად სხვა სამყაროში ატარებს.

» სკოლაში, რომელსაც ჰყავს საგანმანათლებლო ლიდერობაში კარგად გათვითცნობიერებული დირექტორი, მაღალია მოსწავლეების ჩართულობა სხვადასხვა პროექტში და სკოლის ბიუჯეტის ხარჯვაში მათი (მოსწავლეების) ინტერესების გათვალისწინება, მოსწავლეთა თვითმართველობა უფრო აქტიური და ინკლუზიურია და ეს მოსწავლეების სკოლისადმი მიკუთვნებულობა-დამოკიდებულებასაც ცვლის.

მიდგომა, რაც შესაძლებელია მხოლოდ ცნობიერების ამაღლებით. ტრენინგზე მშობლები იღებენ რჩევებსა და რეკომენდაციებს, განიხილავენ კონკრეტულ ქეისებს და ერთად მსჯელობენ პრობლემასთან ბრძოლის სწორ მეთოდებზე. ასევე, საუბარი ეხება ძალადობრივ, მართულ ონლაინთამაშებს.

მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი ერთმშობლიან ოჯახში იზრდება. საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის სკოლის დირექტორები კონკრეტულ ციფრებსაც კი ასახელებენ, რაც ნამდვილად არის დაფიქრების საგანი. ლოგიკურია, რომ ზემოთ განხილულ ტენდენციებში გამოთქმული გამოწვევების მოგვარება ზრდის სკოლის პასუხისმგებლობას. რამდენად არის დღეს ჩვენი სკოლა ამისთვის მზად? ისევ სიმარტივეს მივმართოთ. საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 60-მდე დირექტორსა და 80-მდე მასწავლებელს ერთი მარტივი კითხვა დავუსვით: რამდენად არის სკოლა მოსწავლეებისთვის ბედნიერი ადგილი; ადგილი, სადაც მოსწავლეს ვთავაზობთ სახალისო, საინტერესო და განვითარებაზე ორიენტირებულ აქტივობებს, სადაც მოსწავლე უყვართ, აფასებენ და ზრუნავენ? საინტერესოა, რომ სკოლაში, რომელსაც ჰყავს საგანმანათლებლო ლიდერობაში კარგად გათვითცნობიერებული დირექტორი, მაღალია მოსწავლეების ჩართულობა სხვადასხვა პროექტში და სკოლის ბიუჯეტის ხარჯვაში მათი (მოსწავლეების) ინტერესების გათვალისწინება, მოსწავლეთა თვითმართველობა უფრო აქტიური და ინკლუზიურია და ეს მოსწავლეების სკოლისადმი მიკუთვნებულობა-დამოკიდებულებასაც ცვლის.

როგორც ჰერმანსი (2012), აკადემიური ლიტერატურისა და OECD-ის კვლევების მიმოხილვაზე დაფუძნებით, ამტკიცებს: ბავშვის განვითარებაში ოჯახის როლის შესახებ ეფექტური პოლიტიკის შემუშავება მნიშვნელოვნად ამცირებს მრავალ რისკს, რომლის წინაშეც მოზარდი შეიძლება დადგეს არა მარტო მოზარდობის, არამედ მთელი მომავალი ცხოვრების განმავლობაში. ოჯახის ჩართულობა მნიშვნელოვნად ზრდის მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას, ჯანმრთელობის მდგომარეობას და ამცირებს კრიმინალურ ქმედებებში ჩართულობის რისკს. თუმცა, ერიკ ჰანუშეკის თანახმად (2015, 2016), განვითარებად ქვეყნებში (რომელ ჯგუფსაც მიეკუთვნება საქართველოც) მრავლად არის დაბალი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის ოჯახი, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ოჯახის ჩართულობის სიხშირესა და ხარისხს მოსწავლის ცხოვრებაში. ამიტომ, ჰანუშეკის აზრით, ერთ-ერთ ეფექტურ გამოსავალს ქვეყნის მასშტაბით მაღალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის სკოლების შექმნა წარმოადგენს, ადგილის, სადაც მოსწავლეს ექნება საშუალება, მიიღოს მაღალი ხარისხის საგანმანთლებლო სერვისები, იკვებოს სრულფასოვნად, დაკავებული იყოს სახელოვნებო და სპორტულ წრეებში. ვერანაირი პოლიტიკის დოკუმენტი ან რაიმე ტიპის შეფასებაზე ორიენტირებული მექანიზმი არსებულ რეალობას—ოჯახის დაბალ სოციო-ეკონომიკური მდგომარეობას დამოუკიდებლად ვერ შეცვლის. ეს მექანიზმები ხშირად რეალობის სურათის უკეთ აღწერას ემსახურება, რაც, თავის მხრივ, გვეხმარება უკეთ ორიენტირებასა და უფრო მეტ ზრუნვაში, საჭირო ადამიანური და ფინანსური რესურსების შექმნასა და მობილიზებაში.

ბავშვის ჰარმონიულ განვითარებასა და მასში მშობლის როლზე საუბრისას, არ შეიძლება არ შევეხოთ ერთგვარად ეპატაჟურ ავტორს, ალფი კონს, რომელიც განათლების პოლიტიკის დიდ ნაწილს „სკინერის ბიჰეივიორიზმის ყუთში ჩაკეტილად“ განიხილავს. მისი აზრით, კიდევ უფრო სადარდებელია ის, რომ ამ, მოსწავლისთვის დამაზიანებელ მარათონში საკმაოდ აქტიურად, თუმცა, დიდი ალბათობით, გაუცნობიერებლად, ჩართულია მოსწავლის ოჯახიც. ალფი კონი კატეგორიულად ეწინააღმდეგება ბავშვის

მისაღები ქცევის განვითარებას გარეგანი მოტივატორების გამოყენებით. თითქმის ყველა საზოგადოებაში, ბავშვისგან მისაღები ქცევის განვითარებისთვის მრავლად იყენებენ ათასგვარ „სატყუარა“ საშუალებებს. მკვლევრის აზრით კი, ეს ბავშვის დასჯა უფროა, ვიდრე მისი დაჯილდოება. მოტივაციის თეორიების სხვა ავტორებიც (ჰერცბერგი, მაკგრეგორი, ბანდურა და სხვ.), ასევე, კლასიკოსი ფსიქოლოგები (ადლერი, ფრომი, ასაჯოლი, ერიკსონი და სხვ.) დაახლოებით იმავეს ამტკიცებენ. ხშირად მშობლები არ აცდიან ბავშვებს კონკრეტული საგანმანათლებლო, სპორტული თუ სახელოვნებო პროექტის/პერფორმანსის შესრულებით მიღებულ სიამოვნებას. რაიმეს კეთებით მიღებული სიამოვნება საჩუქრით ან მისი შეპირებით არის ჩანაცვლებული და როგორც მაკგრეგორი ამტკიცებს: „თუ შრომა მისი შესრულებით მიღებული სიამოვნებით არ დასრულდა და პროცესის საბოლოო შედეგი რამე სხვა ჯილდო გახდა, მაშინ მაღალია ალბათობა, რომ შრომის მიმართ ბუნებრივი მოთხოვნილება ნელა-ნელა შემცირდეს.“

ბავშვის მშობლებისა და, ზოგადად, ოჯახის შესახებ პოლიტიკისა და პროგრამების განსაზღვრისთვის საინტერესო მოსაზრებებს ავითარებს დაილი (2011):

- ბავშვის აღზრდის შესახებ ცნობიერების ამაღლება მშობლებში;
- მოკლევადიანი მიზნების პარალელურად, გრძელვადიან მიზნებზე ფოკუსირება;
- ბავშვისა და მშობლის უფლებები უნდა წარმოჩინდეს, როგორც ცენტრალური პრინციპები;
- რაც ადრეული იქნება დახმარება, მით უფრო ეფექტური იქნება სამომავლოდ;
- კიდევ მეტია გასაკეთებელი, კვლევებისა და შეფასებების კუთხით.

ბავშვის განვითარებაში ოჯახის როლის შესახებ ეფექტური პოლიტიკის შემუშავება მნიშვნელოვნად ამცირებს მრავალ რისკს, რომლის წინაშეც მოზარდი შეიძლება დადგეს არა მარტო მოზარდობის, არამედ მთელი მომავალი ცხოვრების განმავლობაში.

„თუ შრომა მისი შესრულებით მიღებული სიამოვნებით არ დასრულდა და პროცესის საგოლოო შედეგი რამე სხვა ჯილდო გახდა, მაშინ მაღალია ალბათობა, რომ შრომის მიმართ გუნებრივი მოთხოვნილება ნელა-ნელა შემცირდეს."

PISA-ს (2009) კვლევებმა, ერთი მხრივ, მშობელთა პირდაპირი ჩართულობის ფორმები გამოკვეთა, ხოლო, მეორე მხრივ, გამოყო ის აქტივობებიც, რომლებიც თითოეული ფორმის მიმართულებით შეიძლება განხორციელდეს მშობლების მხრიდან:

ბავშვთა განათლებაში მშობლების ადრეული ჩართულობა:

- წიგნების წაკითხვა
- ამბების მოყოლა
- სიმღერა
- ანბანით თამაში
- საუბარი იმის შესახებ, რასაც მშობელი აკეთებს
- საუბარი იმის შესახებ, რასაც მშობელი კითხულობს
- სიტყვებით თამაში
- წერითი თამაშები (ასოების, სიტყვების)
- მინიშნებების, ბილბორდების და სხვა წარწერების ხმამაღლა კითხვა

მშობლების ჩართულობა ბავშვთა სასკოლო ცხოვრებაში:

- მშობლის ინიციატივით, საუბარი მასწავლებლებთან ბავშვის ქცევასა თუ პროგრესზე
- მასწავლებლის ინიციატივით, საუბარი ბავშვის ქცევასა თუ პროგრესზე
- მოხალისეობრივი ჩართულობა ფიზიკურ აქტივობებში (მაგ. შენობის გარემონტება, მებაღეობა, ეზოს კეთილმოწყობა და ა.შ.)
- მოხალისეობრივი ჩართულობა არაფორმალური განათლების აქტივობებში (მაგ. კლუბებში, სასკოლო თამაშებში, სპორტულ აქტივობებში, საველე გასვლებში)
- მოხალისეობრივი ჩართულობა სკოლის ბიბლიოთეკასა თუ მედიაცენტრში
- მასწავლებლის ასისტენტობა
- მოწვეული სტუმრის სტატუსით ჩართვა
- მონაწილეობა სკოლის მართვა-ხელმძღვანელობაში (მაგ. სამეურვეო საბჭოებში, მშობელთა კლუბებში, სკოლის მმართველ კომიტეტებში)

მშობელთა ჩართულობის საშინაო აქტივობები (აკადემიური მიმართულებით):

- აქტიური და რეგულარული საუბრები ბავშვთან, სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით
- საშინაო დავალებებზე მუშაობის პროცესში მხარდაჭერა

მშობელთა ჩართულობის საშინაო აქტივობები (არააკადემიური მიმართულებით):

- საუბრები პოლიტიკურ თუ სოციალურ საკითხებზე
- საუბრები წიგნებზე, ფილმებზე ან სატელევიზიო გადაცემებზე
- ერთად საუზმე/სადილი/ვახშამი
- საყიდლებზე ერთად სიარული

რაც შეეხება მშობლების დახმარების პოლიტიკას სხვადასხვა ქვეყანაში, სტანდარტები და მექანიზმები, ბუნებრივია, განსხვავებულია. მოიცავს, როგორც პირისპირ, ასევე, დისტანციურ კომუნიკაციას, რესურსებითა და შინაარსით მხარდაჭერას და მიმართულია პოზიტიური მშობლობის, ოჯახების მხარდაჭერის, მშობელთა ჩართულობის მდგრადი სერვისების უზრუნველყოფაზე. უნდა აღინიშნოს, რომ რაც უფრო წარმატებით ართმევს ქვეყანა თავს ამ ამოცანას, უფრო მაღალია მოსწავლეთა სასწავლო პროგრესი თუ სოციო-ემოციური განვითარების შედეგები.

მშობელთა ჩართულობა სასკოლო განათლებაში – კონცეპტუალური ჩარჩო და გლობალური ტენდენციები

თეონა სილაგაძე

დემოკრატიული კულტურისა და ადამიანის უფლებების სწავლების ხელშეწყობის პროგრამის კოორდინატორი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ჩვენ ბევრს ვსაუბრობთ იმის შესახებ, რომ მშობელთა ჩართულობა ბავშვების აღზრდასა და განათლებაში გადამწყვეტია ბავშვის ჰოლისტური განვითარებისთვის და ხშირად მოვუწოდებთ სკოლებს, რომ შეიმუშაონ მშობელთა ჩართულობის ხელშემწყობი სამოქმედო გეგმები და პოლიტიკის დოკუმენტები. ამ მიმართულებით საქმიანობის გასაადვილებლად, გადავწყვიტეთ, გაგიზიაროთ, რა კონცეპტუალური ჩარჩოები და გლობალური ტენდენციები არსებობს სასკოლო განათლებაში მშობელთა ეფექტიანი ჩართულობის თვალსაზრისით.

მშობელთა ჩართულობის კვლევის კონცეპტუალური ჩარჩო

მშობლებთან თანამშრომლობა და მშობლების ჩართულობა ხშირად ერთმანეთის სინონიმად გამოიყენება და ორივე გამოცდილება პოზიტიურად ამდიდრებს სკოლის საქმიანობას, თუმცა როდესაც საჭიროა მათ შორის განსხვავების აღნიშვნა, განმარტებები ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. სემანტიკური თვალსაზრისით, მშობელთა ჩართულობა გულისხმობს მშობლის მონაწილეობას სკოლის მიერ შეთავაზებულ აქტივობებში, რასაც სკოლები „გეგმავენ“ ღონისძიებებს მშობლებისთვის (მაგ. ეუბნებიან მშობლებს, თუ როგორ შეუძლიათ წვლილის შეტანა), ხოლო მშობლებთან თანამშრომლობა მოიაზრებს მშობლებთან ერთად „რაიმეს განხორციელებას“ და მათთან პარტნიორობას ბავშვებისთვის განათლების მიწოდებისას ან, ზოგადად, აღზრდისას (Ferlazzo, 2009, 2011; Ferlazzo & Hammond, 2009). ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოგიდგენთ ძირითად ნიუანსურ განსხვავებებს მშობლის თანამშრომლობასა და მშობლის ჩართულობას შორის, რაც შეიძლება გამოგადგეთ თქვენი საქმიანობის დაგეგმვისას.

ცხრილი 1. მშობელთა ჩართულობა და თანამშრომლობა

	მშობელთა ჩართულობა	მშობელთა თანამშრომლობა
ინიცირებული და ამოქმედებულია	იდეები და ძალისხმევა სკოლებიდან მოდის.	იდეებს მშობლებისგანაც იღებენ სკოლები. მშობლებიც აქტიურად იღებენ ძალისხმევას, სკოლებთან ერთად.
	სკოლები ლიდერობენ თავიანთი ინსტიტუციური ინტერესებითა და სურვილებით.	სკოლები ლიდერობენ მშობლების ინტერესების გათვალისწინებითა და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების განვითარებით.
ურთიერთობის ფორმა	მშობლები წახალისებულნი არიან, გააკეთონ ის, რასაც სკოლა მნიშვნელოვნად თვლის.	მშობლები გამოწვევის წინაშე დგანან, გააკეთონ ის, რაც მათთვის მნიშვნელოვანია.

	მშობელთა ჩართულობა	მშობელთა თანამშრომლობა
მშობლის როლი	მშობლები მოხალისედ მონაწილეობენ სკოლის მიერ დასახული ამოცანების შესრულებაში.	მრავალი და მრავალფეროვანი ჩართულობის ფორმა სახლსა და სკოლაში.
	მშობლები განიხილება როგორც „კლიენტები“, რომლებიც იღებენ მომსახურებას და ინფორმაციას მასწავლებლებისგან, რომლებიც არიან პროფესიონალები.	მშობლები, როგორც პოტენციური ლიდერები, წახალისებული არიან, წვლილი შეიტანონ საკუთარი ხედვითა და მიზნებით და დაეხმარონ სკოლებს მიღწევაში.
მასწავლებლის როლი	პროფესიონალები, რომლებიც ურჩევენ მშობლებს, რა უნდა გააკეთონ თავიანთ შვილთან ერთად.	მშობლებისგან იღებენ იდეებს, თუ როგორ დაეხმარონ უკეთესად მათ შვილს.
სკოლის ლიდერის როლი	შეიმუშავებს ხედვას და უზიარებს მითითებებს სხვა თანამშრომლებს, მშობლებთან კომუნიკაციისთვის.	ხელს უწყობს მშობლებსა და თანამშრომლებს, დაეხმარონ მას ერთობლივი ხედვის შემუშავებაში. განწყობას ქმნის სკოლის პერსონალსა და მშობლებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებისთვის.

წყარო: ადაპტირებულია Ferlazzo & Hammond (2009, pp. 4-9); აგრეთვე, Weiss et al. (2010, pp. xx–xxviii).

მშობელთა ჩართულობისას კონცეპტუალურად განსხვავდება ინტერაქციისა და ამოცანების მასშტაბი (Bull, Brooking & Campbell, 2008). მყარი ურთიერთობის დანერგვა მშობლებსა და სკოლას შორის უპირველესი ნაბიჯია. ამოცანების მასშტაბი კი გულისხმობს ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა ორმხრივი კომუნიკაცია სკოლასა და სახლს შორის, მოხალისეობა სკოლებში და ა.შ.

ევროპის, ჩრდილოეთ ამერიკისა და აზია-წყნარი ოკეანეთის უმეტესმა ქვეყნებმა 1970-იანი წლებიდან დაიწყეს მშობელთა ჩართულობის შესახებ კანონების დამტკიცება (Delhaxhe, 7 Manzon, Miller, Hong & Khong, 1998). შეერთებულ შტატებში მშობელთა ჩართულობა მთავარ საგანმანათლებლო პრობლემას წარმოადგენდა 1980-იან წლებში, რასაც საფუძვლად დაედო კოლმენის ანგარიში (Coleman et al., 1966), რომლის თანახმად, ოჯახური ფაქტორები მოსწავლის აკადემიური მოსწრების ძლიერ დეტერმინანტად დასახელდა. მთელი მსოფლიოს მასშტაბით არსებული სხვადასხვა პოლიტიკური ინიციატივის მიმოხილვა მკაფიოდ აჩვენებს, რომ არსებობს მრავალი მიზეზი, თუ რატომ უნდა მოხდეს საგანმანათლებლო პროცესში მშობლების ჩართულობის ხელშეწყობა და განხორციელება.

ხშირად მთავრობებს, მშობლებსა და სკოლებს აქვთ მთელი რიგი მიზნები, რომლებიც ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. როგორც მე-2 ცხრილი გვიჩვენებს, კოორდინაცია შესაძლოა წაახალისოს დემოკრატიულმა რეფორმებმა, ასევე, ამგვარ რეფორმებთან დაკავშირებულმა ანგარიშვალდებულებებმა და მომხმარებლის არჩევანმა.

მყარი ურთიერთობის დანერგვა მშობლებსა და სკოლას შორის უპირველესი ნაბიჯია. ამოცანების მასშტაბი კი გულისხმობს ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა ორმხრივი კომუნიკაცია სკოლასა და სახლს შორის, მოხალისეობა სკოლებში და ა.შ.

ცხრილი 2. მშობლებთან თანამშრომლობის განმსაზღვრელი ფაქტორები

მთავრობის ხედვა	სკოლის ხედვა	მშობლების ხედვა
დემოკრატია/ მომხმარებელთა არჩევანი		კონკურსი საუკეთესო ადგილებისთვის
ანგარიშვალდებულება/ დეცენტრალიზაცია		კომუნიკაცია
მაღალი სტანდარტების დანერგვა	ჰოლისტური განათლების მხარდაჭერა	
რესურსების მობილიზება / მიუკერძოებლობა / სოციალური პრობლემები	რესურსების მობილიზება / მიუკერძოებლობა / სოციალური პრობლემები	ბავშვის მიღწევების გაუმჯობესება ღირებულებებზე ზეგავლენა
ვიზუალური კომუნიკაცია	ვიზუალური კომუნიკაცია	ფინანსური მხარდაჭერა
		სკოლიდან მხარდაჭერა

წყარო: ადაპტირებულია Manzon (2004, p.15).

მშობელთა ჩართულობის მიმართულებით, გვინდა გაგიზიაროთ ოთხი მოდელი, რომელთაც, ითვლება, რომ არსებითი გავლენა მოახდინეს სამთავრობო პოლიტიკაზე საერთაშორისო დონეზე.

მოდელი 1: მშობლის ჩართულობის პროცესი

მშობლის ჩართულობის პროცესის განმარტებისას, ჰუვერ-დემპსის და სენდლერის (1995; 1997; 2005; Hoover-Dempsey et al., 2005; Walker, Shenker, & Hoover-Dempsey, 2010) მოდელი ფსიქოლოგიურ ხედვას ეყრდნობა. აღნიშნული მოდელი გვთავაზობს დინამიკას, თუ რატომ ერთვებიან მშობლები თავიანთი შვილების განათლებაში და რა გავლენას ახდენს ეს მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე. აღნიშნული მოდელი მოიცავს ხუთ თანმიმდევრულ დონეს (იხ. ცხრილი 3).

მიუხედავად იმისა, რომ ეს მოდელი გვთავაზობს მკაფიო განმარტებას მშობელთა ჩართულობის ფსიქოლოგიური პროცესების შესახებ, მას მაინც ახასიათებს გარკვეული შეზღუდვები. მოდელი არის წრფივი და ცალმხრივი. საბოლოოდ კი, აუცილებელია მისი დატესტვა ადგილობრივ კონტექსტში.

ცხრილი 3. ჰუვერ-დემპსის და სენდლერის მოდელი მშობლების ჩართულობის პროცესის შესახებ

ადაპტირებულია Hoover-Dempsey & Sandler-იდან (2005), http://www.vanderbilt.edu/peabody/family-school/model.html





მოდელი 2: მშობლის ეფექტური ჩართულობა

დეფორჯესი და აბუჩარი (2003) გამოყოფენ მშობელთა ჩართულობის ორ განსხვავებულ ტიპს: მოტივირებული მშობლების სპონტანური ინიციატივა და პროფესიონალების მიერ ორგანიზებული ინტერვენციები მშობლების სპონტანური ჩართულობის გასაძლიერებლად. მკვლევრებმა შეიმუშავეს მოდელი, რომელიც ასახავს მშობლის ეფექტური სპონტანური ჩართულობის დინამიკურ პროცესს და მის ურთიერთქმედებას სკოლის ინიციატივებთან (იხ. ცხრილი 4). თუმცა, ეს მოდელი ცალსახად არ აღიარებს მშობლებსა და სკოლებს შორის ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის მნიშვნელობას.

ცხრილი 4. მშობელთა ეფექტური ჩართულობის კვლევაზე დაფუძნებული მოდელი სასკოლო განათლებაში

ადაპტირებულია Desforges and Abouchaar, 2003



მოდელი 3: მშობელთა ჩართულობის ტიპოლოგია

ეპშტეინის (2001) მშობელთა ჩართულობის ტიპოლოგია ექვსი ფორმისგან შედგება. ესენია: აღზრდა, კომუნიკაცია, მოხალისეობა, სახლში მეცადინეობა, გადაწყვეტილების მიღება და საზოგადოებასთან თანამშრომლობა. აღნიშნული ფორმები არ არის მოცემული იერარქიული თანმიმდევრობით, არამედ მითითებულია ტიპებად, და არა დონეების სახით.

ტიპი 1: **აღზრდა** – ოჯახების დახმარება, რათა მათ შექმნან შინაური გარემო, რომელიც გააუმჯობესებს ბავშვების აკადემიურ მოსწრებას.

ტიპი 2: **კომუნიკაცია** – სკოლიდან სახლში და სახლიდან სკოლამდე კომუნიკაციის ეფექტური ფორმების შექმნა.

ტიპი 3: **მოხალისეობა** – მშობლების ჩართულობა, რათა ისინი დაეხმარონ სკოლას.

ტიპი 4: **სახლში მეცადინეობა** – ოჯახებისთვის ინფორმაციისა და იდეების მიწოდება იმის შესახებ, თუ როგორ დაეხმარონ ბავშვებს საშინაო დავალების შესრულებაში.

ტიპი 5: **გადაწყვეტილების მიღება** – მშობლების ჩართულობა სასკოლო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ტიპი 6: **თანამშრომლობა საზოგადოებასთან** – საზოგადოებრივი სერვისებისა და რესურსების ინტეგრირება სკოლების, ოჯახებისა და ბავშვების მოსწრების გასაძლიერებლად.

მოდელი 4: მშობელთა ჩართულობის ეკოლოგიური სისტემების მოდელი

ბრონფენბრენერის (1986) განვითარების სოციო-ეკოლოგიური მოდელი აღიარებს მრავალგანზომილებიან და მრავალდონიან გავლენას ადამიანთა განვითარებასა და მათ ურთიერთკავშიზე (იხ. ცხრილი 5).

ცხრილი 5.
Bronfenbrenner's სოციო-ეკოლოგიური განვითარების მოდელი
ადაპტირებულია Brofenbrenner, 1986



მიკროსისტემა ნიშნავს ბავშვის ურთიერთობას მის უშუალო სოციალურ გარემოსთან, რაც მოიცავს ისეთ ადგილებს, როგორებიცაა საბავშვო ბაღი, სახლი და სკოლა. მეზოსისტემა ნიშნავს ურთიერთქმედებას ინდივიდებს შორის (მაგ. მშობლებსა და მასწავლებლებს) და ისეთ პარამეტრებს (მაგ. სკოლის შემდგომი პროგრამები და/ან სკოლები), რომლებიც მიკროსისტემას შეიცავს. მეზოსისტემა აყალიბებს კავშირებსა და ურთიერთკავშირებს ბავშვის მიკროსისტემაში. ეგზოსისტემა არის სხვადასხვა კონტექსტი, რომელიც არაპირდაპირი გზით ახდენს გავლენას ბავშვის განვითარებაზე (მაგ. მშობლების სამუშაო ადგილთან დაკავშირებული მოთხოვნები, რაც ამცირებს მშობლისა და ბავშვის ურთიერთობის დროს). გავლენის უფრო ფართო დონეს წარმოადგენს მაკროსისტემა, რომელიც შედგება კულტურის, ეკონომიკის, პოლიტიკური და სოციალური

პოლიტიკისა და დომინანტური რწმენის ინსტიტუციური ნიმუშებისგან. და ბოლოს, ქრონოსისტემა გულისხმობს დროის ელემენტს ბავშვის ცხოვრების ტრაექტორიაში, ასევე, ცვლილებებისა და უწყვეტობის ზეგავლენას ბავშვის გარშემო არსებულ ფართო კონტექსტზე. ამ ბოლო მოდელის თანახმად, ბავშვის კეთილდღეობაზე პასუხისმგებელია არა მხოლოდ ოჯახი ან სკოლა, არამედ საზოგადოება მთლიანად.

გლობალური ტენდენციები სკოლისა და მშობლების თანამშრომლობის მიმართულებით

მთელ მსოფლიოში მშობელთა ჩართულობა მხარდაჭერილია სხვადასხვა ფორმით, განათლების სისტემის სხვადასხვა დონეზე, ასევე, პოლიტიკური ტენდენციები ხელს უწყობენ მშობლების ჩართულობას ბავშვის განვითარებაში ადრეული ასაკიდან. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) ნაშრომში, რომლის მთავარ ფოკუსს წარმოადგენს ოჯახების ჩართულობა ადრეული ასაკის განათლების ხარისხის ასამაღლებლად, ასახელებს რამდენიმე სტრატეგიას, რომელიც დანერგილ იქნა საერთაშორისო დონეზე. ამ სტრატეგიების უმეტესობა ასევე გამოიყენება განათლების სხვადასხვა საფეხურზე.

მრავალი კვლევით დადასტურდა, რომ მშობელთა ჩართულობა დადებით გავლენას ახდენს ბავშვების აკადემიურ შედეგებზე (Castro, Bryant, Peisner-Feinberg & Skinner, 2004; Catsambis, 2001; Hoover-Dempsey & Sandler, 2005; Jeynes, 2003, 2005a, 2005b, 2007). მკვლევრები, ასევე, შეეცადნენ, შეეფასებინათ და დაედგინათ ისეთი ფაქტორები, ქმედებები და აქტივობები, რომლებიც ძალზედ ეფექტურ როლს ასრულებენ ბავშვის ემოციურ და ინტელექტუალურ განვითარებაში.

აღზრდა

აღზრდის სტილი გავლენას ახდენს ბავშვების ემოციურ და სოციალურ მახასიათებლებზე, რაც საბოლოოდ აყალიბებს მათ დამოკიდებულებას განათლების მიმართ. ყველაზე ხშირად დასახელებული მოდელი, რომელიც გამოიყენება აღზრდის სტილისა და მისი გავლენის აღსაქმელად მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე, არის ბაუმრინდის (1967) აღზრდის ოთხი სტილი (იხ. ცხრილი 6). ბაუმრინდის აზრით, ავტორიტეტული აღზრდა საუკეთესო შედეგებს იძლევა ბავშვებში, ხოლო უყურადღებო და ავტორიტარული აღზრდა კი — ყველაზე უარყოფით გავლენას ახდენს მათზე.

ცხრილი 6. აღზრდის სტილი

ადაპტირებულია ბაუმრინდიდან, 1967



სახლში შესასრულებელი აქტივობები

სახლში შესასრულებელი ეფექტური აქტივობები მოიცავს შემდეგს: მშობლები კითხულობენ წიგნებს ბავშვებთან ერთად, რაც ხელს უწყობს ბავშვების ინტერესის გაღვივებას და კითხვის ჩვევების ჩამოყალიბებას; მშობელსა და ბავშვს შორის ყალიბდება კომუნიკაცია და ღია დისკუსია აკადემიურ და არააკადემიურ საკითხებ-

ზე, ასევე, ხდება მშობლების ინტერესის მკაფიო დემონსტრირება ბავშვის ზოგადი და აკადემიური კეთილდღეობის მიმართ (OECD, 2012b). ბევრი ექსპერტი იძლევა რეკომენდაციას, რომ აუცილებელია მშობელთა ჩართულობა ბავშვის განათლებაში რაც შეიძლება ადრეულ ასაკში დაიწყოს და იქცეს ის ბავშვის განათლების ნორმალურ და რეგულარულ ასპექტად (Barnard, 2004; Barnett, 1995; Cotton & Wikelund, 1989; Glass, 1999; Jeynes, 2007, 2012; OECD, 2012b).

„რისკის ქვეშ მყოფი" მოსწავლეების დახმარება

ტერმინში „რისკის ქვეშ" მოიაზრებიან ბავშვები, რომლებსაც აქვთ აკადემიური წარუმატებლობის ან სკოლის მიტოვების მაღალი ალბათობა. აღნიშნული კატეგორიის ბავშვებს შესაძლოა ჰქონდეთ ისეთი გარემოებები (მაგალითად, ოჯახში ძალადობა, უსახლკარობა, ჯანმრთელობის პრობლემები, სწავლის უნარის დაქვეითება), რამაც შეიძლება ძლიერი და უარყოფითი გავლენა იქონიოს მათ აკადემიურ მოსწრებაზე, მიღწევებსა და მისწრაფებებზე. კვლევების მეტაანალიზმა აჩვენა, რომ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე მშობელთა ჩართულობის დადებითი გავლენა უდიდესია კულტურის, ეთნიკური წარმომავლობის, სოციო-ეკონომიკური მდგომარეობისა და ა.შ ფაქტორების მიუხედავად (Green et al., 2007; Jeynes, 2011). თუმცა, ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მშობელთა ჩართულობის ზეგავლენა უმცირესობების ჯგუფებში ხასიათდება კულტურათაშორისი მახასიათებლებითაც.

მშობელთა ჩართულობის გამოწვევები

მშობელთა ხარისხიანი ჩართულობის წინაშე არსებული გამოწვევები მრავალ განზომილებას მოიცავს (Desforges & Abouchaar, 2003, p. 88). აღნიშნული დაბრკოლებები შეიძლება დაიყოს შემდეგ კატეგორიებად: მშობლებთან დაკავშირებული ბარიერები, სკოლასთან დაკავშირებული ბარიერები და მოსწავლეებთან დაკავშირებული ბარიერები.

მშობლებთან დაკავშირებული ბარიერები

ნაკლებად ჩართული მშობლები, როგორც წესი, არიან დაბალი ეკონომიკური მონაცემების მქონე, მიგრანტების ან უმცირესობების ჯგუფებიდან, ან არიან მარტოხელა მშობლები. ზოგიერთ მშობელს, ასევე, შესაძლოა არ ჰქონდეს ცოდნა ან თავდაჯერებულობა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ითანამშრომლოს სკოლასთან სათანადოდ (Hill & Tyson, 2009).

სკოლასთან დაკავშირებული ბარიერები

სკოლებში მშობელთა ჩართულობის აქტივობებში მასწავლებლებსა და მშობლებს შორის ურთიერთობა შესაძლოა ყოველთვის არ იყოს ორმხრივი. მონაწილეობის წინაშე დაბრკოლებები შესაძლოა წარმოიშვას სკოლების მიერ შექმნილი ბარიერების გამო და სწორედ აქ ჰმართებს სკოლას სათანადო ანალიზი საკუთარი საქმიანობის შესწავლისა და განვითარებისათვის.

მოსწავლეებთან დაკავშირებული ბარიერები

ასევე, გასათვალისწინებელია ბავშვების შეხედულებები და მიდრეკილებები მშობელთა ჩართულობის მიმართ. მართალია, კვლევებმა აჩვენა, რომ მოსწავლეები დადებითად აფასებენ მშობლებსა და მასწავლებლებს შორის ხშირ კომუნიკაციას (Ames, 1995), თუმცა არსებობენ ბავშვები, რომლებსაც სურთ უფრო მეტი ავტონო-

«

გასათვალისწინებელია ბავშვების შეხედულებები და მიდრეკილებები მშობელთა ჩართულობის მიმართ. მართალია, კვლევებმა აჩვენა, რომ მოსწავლეები დადებითად აფასებენ მშობლებსა და მასწავლებლებს შორის ხშირ კომუნიკაციას (AMES, 1995), თუმცა არსებობენ ბავშვები, რომლებსაც სურთ უფრო მეტი ავტონომიურობა და, შესაბამისად, შესაძლოა შეგნებულად არ გაიზიარონ მშობლებისა და მასწავლებლების ძალისხმევები.

» მოლოდინები ჩართულობის ტიპებისა და მასშტაბის შესახებ აუცილებლად ნათელი უნდა იყოს ორივე მხარისთვის.

მიურობა და, შესაბამისად, შესაძლოა შეგნებულად არ გაიზიარონ მშობლებისა და მასწავლებლების ძალისხმევები (Green et al., 2007; Grolnick et al., 2009).

ძირითადი გამოწვევების შეჯამება

მშობელთა ჩართულობის აქტივობების მექანიზმის გაცნობიერება სხვადასხვა დაინტერესებული მხარის პერსპექტივიდან მნიშვნელოვანია, რათა მოხდეს წინსვლა და ჩართულობის მიმდინარე მოდელების გაუმჯობესება. მაშასადამე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ აღიქვამენ ამ ყველაფერს სკოლის ხელმძღვანელები, მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები.

შესაძლო გამოსაჯაღი

მშობელთა ჩართულობის წარმატებული პროგრამების შემუშავებისთვის საკვანძო ფაქტორს წარმოადგენს მშობლებსა და მასწავლებლებს შორის კომუნიკაციის გამარტივება და მოლოდინების თანხვედრა (Patrikakou, 2008). აქ სასკოლო კულტურა დიდ როლს თამაშობს მშობლების მონაწილეობის ხელშეწყობაში (Green et al., 2007), ვინაიდან მოლოდინები ჩართულობის ტიპებისა და მასშტაბის შესახებ აუცილებლად ნათელი უნდა იყოს ორივე მხარისთვის.

ცხრილი 7. მშობელთა ჩართულობის ხელისშემშლელი ფაქტორები

სკოლები	მშობლები	მოსწავლეები
მასწავლებლების დატვირთული რეჟიმი	დატვირთული რეჟიმი	გადაჭარბებული საშინაო დავალება
მასწავლებლების შიში პროფესიული პრესტიჟის შელახვის შესახებ	ჩართულობის შესახებ თავდაჯერებულობისა და ცოდნის სიმცირე	მასწავლებლებისა და მშობლების ზეწოლა
ჩართულობის ტიპის, მოცულობის, მიზნებისა და მოლოდინების არასწორი გააზრება	ჩართულობის ტიპის, მოცულობის, მიზნებისა და მოლოდინების არასწორი გააზრება	სწავლისა და მიდრეკილებების საკუთარი აღქმები
მშობლებისადმი ნდობის ნაკლებობა	სკოლებისადმი ნდობის ნაკლებობა	გამოტოვებული / მასწავლებლის ან /და მშობლის მიერ არასწორად გაგებული
მშობელთა თანამშრომლობის შესახებ ტრენინგების ნაკლებობა	მშობლების მხრიდან ენობრივი და კულტურული ბარიერები	გავლენა თანატოლების მხრიდან
სკოლის ლიდერების იდეოლოგია მშობელთა ჩართულობის შესახებ	სკოლის დაჯგუფებამ და სოციალურმა სტიგმატიზაციამ შეიძლება შეაფერხოს „სუსტი“ მოსწავლეების მშობლები	საკუთარი უარყოფითი გამოცდილება სკოლებში და მასწავლებლებთან

წყარო: ადაპტირებულია Ames (1995), Baum & McMurray-Schwarz (2004), Epstein (1986), Green et al. (2007), Sharpe (1993), Shirley (2014), Smrekar & Cohen-Vogel (2001), SoutoManning & Swick (2006).

სკოლებისა და ოჯახების პარტნიორობა მოსწავლეთა აკადემიური და სოციო-ემოციური წარმატების უზრუნველსაყოფად

მაია არავიაშვილი
სოციოლოგიის დოქტორი,
მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრის
ანალიტიკური სამსახურის უფროსი

მასალა მომზადებულია Nebraska Center for Research on Children, Youth, Families and Schools მიერ ჩატარებული კვლევების ანალიზის საფუძველზე

> **დირექტორები, რომლებიც ხელს უწყობენ ოჯახისა და სკოლების პარტნიორობას, ორიენტირებულნი არიან მოსწავლეების აკადემიურ და მასთან დაკავშირებული ქცევების გაუმჯობესების მხარდაჭერაზე. ასეთ სკოლებში დირექტორები ორგანიზაციული კულტურისა და სასკოლო თემს შორის თანამშრომლობის მაღალ ხარისხს უზრუნველყოფენ.**

მოსწავლის წარმატებას განაპირობებს მშობლის მიზნობრივი და გააზრებული მონაწილეობა სასწავლო პროცესში, სადაც მნიშვნელოვანია მოსწავლეთა აკადემიური ქცევები, როგორებიცაა, თვითკონტროლი, ჩართულობა და შესაბამისობა პოზიტიური სასწავლო შედეგების მისაღებად. დირექტორები, რომლებიც ხელს უწყობენ ოჯახისა და სკოლების პარტნიორობას, ორიენტირებულნი არიან მოსწავლეების აკადემიურ და მასთან დაკავშირებული ქცევების გაუმჯობესების მხარდაჭერაზე. ასეთ სკოლებში დირექტორები ორგანიზაციული კულტურისა და სასკოლო თემს შორის თანამშრომლობის მაღალ ხარისხს უზრუნველყოფენ. მართალია, ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევების შედეგები გვიჩვენებს სხვაობას სხვადასხვა ცვლადს, მათ შორის, ქალაქს, სოფელს, თუ სოციო-ეკონომიკურ სპექტრს შორის, თუმცა მოსწავლის წარმატება, ნებისმიერ შემთხვევაში, მაინც თვალსაჩინოა.

მასწავლებლები და მშობლები, წარმატებული კომუნიკაციის შემთხვევაში, არიან პარტნიორები, რომლებიც თანამშრომლობენ მოსწავლეების სასწავლო ან სოციო-ემოციური თუ ქცევითი სირთულეების მოსაგვარებლად. ეს არის მძლავრი, პრობლემის გადაჭრაზე მომართული ინტერვენცია, რომელიც აერთიანებს სკოლებსა და ოჯახებს.

სტრუქტურირებული და მხარდამჭერი ინსტრუმენტების მეშვეობით, მშობლები და მასწავლებლები აგროვებენ ინფორმაციას მოსწავლის ქცევის შესახებ, სწავლობენ პრობლემებს და, ასევე, მათ გამომწვევ მიზეზებს. შემდგომ კი ისინი ამ ინფორმაციას იყენებენ მოსწავლეების პრაქტიკული ინტერვენციის გეგმების შესამუშავებლად, რომელიც მათ დაეხმარებათ სასწავლო და ქცევითი მიზნების მიღწევაში. გეგმების დანერგვა მიმდინარეობს როგორც სახლში, ისე სკოლაში, რათა მაქსიმალურად გაიზარდოს მოსწავლეთა წარმატების ხარისხი.

კვლევების მონაცემებით, მოსწავლეების სასწავლო და ქცევითი შედეგები აჩვენებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ მშობლები და მასწავლებლები თანამშრომლობენ, უმჯობესდება მოსწავლეების ადაპტაციური უნარები როგორც სახლში, ასევე, სკოლაში.

იგივე ტენდენციაა შენარჩუნებული დაწყებითი კლასების მოსწავლეების შემთხვევაში, მშობლებისა და მასწავლებლების პარტნიორული თანამშრომლობა განაპირობებს ადაპტაციურ უნარების გაუმჯობესებას ადრეული ასაკიდანვე.

საგულისხმოა სოფლის სკოლების მოსწავლეების ადაპტაციური და ფუნქციური კომუნიკაციის უნარების მკვეთრი გაუმჯობესება, რაც 58%-ით მეტად უმჯობესდება, ვიდრე შესადარებელი ჯგუფის მოსწავლეების შედეგები ქალაქის სკოლებში.

კლასში დაკვირვების შედეგები აჩვენებს, რომ მოსწავლეები, რომელთა მშობლები და მასწავლებლებიც პარტნიორულ ფორმატში თანამშრომლობენ, მეტად აუმჯობესებენ პოზიტიურ ქცევებს, ვიდრე შესადარებელი ჯგუფის მოსწავლეები. ეს მიღწევები პირდაპირ კლასში, მოსწავლეებზე დაკვირვების მეშვეობით შეფასდა.

სოფლის სკოლების მოსწავლეებმა, რომელთა მშობლები და მასწავლებლებიც აქტიურად თანამშრომლობდნენ, აჩვენეს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება სამუშაოს/დავალებების შესრულებისას.

რთული ქცევა

მოსწავლეებმა, რომელთა მშობლები და მასწავლებლებიც აქტიურად თანამშრომლობდნენ, უფრო მეტად შეამცირეს რთული ქცევების შემთხვევები სახლსა და სკოლაში, ვიდრე შესადარებელი ჯგუფების მოსწავლეებმა.

სოფლის სკოლების მოსწავლეებთან, რომელთა მშობლები და მასწავლებლებიც ჩართულნი იყვნენ თანამშრომლობის პროცესში, მასწავლებლის მიერ აღნუსხული სასწავლო პრობლემები უფრო მეტად შემცირდა, მათ შორის, შემდეგი მიმართულებებით:

- ჰიპერაქტიურობა ($p = .01$, $d = -.38$);
- სომატიზაცია ($p = .04$ $d = .25$);
- ყურადღების პრობლემები ($p = .01$, $d = -.38$,);
- სკოლის პრობლემები ($p < .01$, $d = -.45$,).

იგივე ტენდენციაზე მიგვანიშნებდნენ მშობლებიც. სოფლის სკოლების მოსწავლეებში, მშობლების განცხადებით, შემცირდა ჰიპერაქტიურობა ($p = .03$, $d = - .30$), აგრესია ($p = .02$, $d = -.32$) და დეპრესია ($p = .02$, $d = -.35$).

მშობლებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ თანამშრომლობით პროცესებში, განაცხადეს, რომ შემცირდა მათი შვილების არასასურველი ქცევები სახლში, კერძოდ, აგრესიულობა, კამათი, დაუმორჩილებლობა, ტანტრუმი და ყვირილი. ეს ტენდენცია შეინიშნებოდა როგორც სოფლის სკოლების, ასევე, ზოგადად, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების შემთხვევაში.

კვლევის შედეგად, გამოვლინდა, რომ იმ მოსწავლეებთან, რომელთა მშობლები და მასწავლებლებიც თანამშრომლობდნენ, უფრო მეტად შემცირდა არასასურველი ქცევები საკლასო ოთახში, ვიდრე დასადარებელი ჯგუფის მოსწავლეებში. ეს შედეგი შეფასდა პირდაპირ კლასში მოსწავლეებზე დაკვირვების გზით და კონკრეტული შემთხვევების შესახებ ჩანაწერების ანალიზის მეშვეობით. მნიშვნელოვნად შემცირდა შეუსაბამო მოტორული აქტივობები ($p <.01$, $d = .37$) და დავალების/სამუშაოს მიღმა დევიაციური ქცევა ($p <.01$, $d = .46$). ზოგადად, სკოლებისა და ოჯახების თანამშრომლობის შემთხვევაში, მოსწავლეების შედეგები უკეთესია, შესადარებელი ჯგუფის ბავშვების შედეგებთან მიმართებით.

მშობლისა და მასწავლებლის თანამშრომლობის შედეგები

განსხვავდება მასწავლებლებთან მშობლების ურთიერთობის ფორმები ქცევითი პრობლემების მქონე ბავშვების იმ მშობლებს შორის, ვინც არ მონაწილეობდნენ სკოლა-ოჯახის პარტნიორობის მოდელში და ვინც მონაწილეობდნენ. სკოლა-ოჯახის პარტნიორობის შემთხვევაში, მშობლები აცხადებდნენ, რომ ძალიან გაუმჯობესდა მათი ურთიერთობის ხარისხი მასწავლებელთან.

ამ ტენდენციაზე აქტიურად საუბრობდნენ სოფლის სკოლებისა და დაწყებითი

» მასწავლებლები და მშობლები, წარმატებული კომუნიკაციის შემთხვევაში, არიან პარტნიორები, რომლებიც თანამშრომლობენ მოსწავლეების სასწავლო ან სოციო-ემოციური თუ ქცევითი სირთულეების მოსაგვარებლად. ეს არის მძლავრი, პრობლემის გადაჭრაზე მიმართული ინტერვენცია, რომელიც აერთიანებს სკოლებსა და ოჯახებს.

საფეხურის მასწავლებლებიც, რომლებიც ადასტურებდნენ მშობლებთან ურთიერთობის ხარისხის გაუმჯობესებას.

მშობლის უნარების გაუმჯობესება

ოჯახისა და სკოლების პარტნიორობის შემთხვევაში განხორციელებული ინტერვენციები აჩვენებდა, რომ მშობლებს უფრო მეტად გამოუმუშავდათ და გაუუმჯობესდათ პრობლემის გადაჭრის უნარი. ისინი, პროფესიონალებთან და მასწავლებლებთან თანამშრომლობის შედეგად, თავს უფრო კომპეტენტურად გრძნობდნენ და გადაწყვეტილებასაც უფრო ადვილად იღებდნენ. მნიშვნელოვნად იზრდებოდა მშობელთა უნარი, დახმარებოდნენ შვილებს წარმატების მიღწევაში როგორც სახლში, ისე სკოლაში.

შეფასდა ოჯახის ჩართულობის სამი ფაქტორი:

- სახლში ჩართულობა;
- სკოლაში ჩართულობა;
- ოჯახისა და სკოლის კომუნიკაცია.

კვლევის მონაცემები აჩვენებდა, რომ სკოლა-ოჯახის პარტნიორობის შემთხვევაში, მშობლების ჩართულობა და მონაწილეობა იზრდებოდა სამივე მიმართულებით.

მასწავლებელთა უნარები

სკოლა-ოჯახის პარტნიორობის შემთხვევაში, მასწავლებლები უფრო ხშირად იყენებდნენ სწავლების ეფექტურ და შესაბამის სტრატეგიებს, უფრო ხშირად მიმართავდნენ პოზიტიურ ყურადღებას მოსწავლეების მიმართ, ამასთანავე, აღინიშნებოდა მშობლებთან ინტერაქციის როგორც სიხშირის, ასევე, ხარისხის გაუმჯობესება.

მნიშვნელოვანწილად უმჯობესდებოდა პრობლემის გადაჭრის სტრატეგიების გამოყენება მაშინ, როდესაც მასწავლებლები თანამშრომლოდნენ სხვა პროფესიონალებთან და მშობლებთან, განსხვავებით შესადარებელი ჯგუფის შემთხვევისა, რომელშიც ეს პოზიტიური ცვლილებები არ შეინიშნებოდა.

კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ იმ მოსწავლეების შემთხვევაში, რომელთა სკოლა-ოჯახს შორის პარტნიორული თანამშრომლობა შედგა და ერთობლივად იმუშავეს სასწავლო და სოციო-ემოციური უნარების გაუმჯობესებაზე, პოზიტიური შედეგები ცალსახაა; შემცირდა რთული ქცევები და სწავლის პრობლემები, გაიზარდა შესაბამისი ქცევები, გაუმჯობესდა სოციალური და კომუნიკაციური უნარები და მოსწავლეები აქტიურად ჩაერთვნენ სასწავლო პროცესში.

გარდა ამისა, მშობლები და მასწავლებლები, პარტნიორობის შემთხვევაში, გრძნობდნენ ორმხრივ მნიშვნელოვან სარგებელს. ისინი აცხადებდნენ, რომ მათი ურთიერთობა უფრო პოზიტიური გახდა, განსხვავებით იმ მშობლებისა და მასწავლებლებისგან, რომლებიც არ მონაწილეობდნენ სკოლა-ოჯახის პარტნიორობის მოდელში. მშობლებმა განაცხადეს, რომ ისინი უკეთესად ერთვებოდნენ მათი შვილების საგანმანათლებლო პრობლემის გადაჭრაში და გრძნობდნენ, რომ უკეთ შეუძლიათ დაეხმარონ შვილს სკოლაში წარმატების მიღწევაში. მასწავლებლების შემთხვევაში კი – გაიზარდა მშობლებთან და სხვა პროფესიონალებთან მუშაობის კომპეტენცია.

კვლევის ეს შედეგები გვიჩვენებს, რომ მნიშვნელოვანია ოჯახი – სკოლის პარტნიორული თანამშრომლობა, როგორც ქალაქის, ასევე, სოფლის სკოლებში. ეს მიდგომა დადებითად აისახება მოსწავლის სწავლისა და სოციო-ემოციური უნარების განვითარებაზე, ამასთანავე, მასწავლებლებსა და მშობლებს შორის პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბებაზე, რომელიც მათ სძენს უნარებს, თანამშრომლობითად მიიღონ მონაწილეობა შვილების სირთულეების დაძლევასა და მათ წარმატებაში.

კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ იმ მოსწავლეების შემთხვევაში, რომელთა სკოლა-ოჯახს შორის პარტნიორული თანამშრომლობა შედგა და ერთობლივად იმუშავეს სასწავლო და სოციო-ემოციური უნარების გაუმჯობესებაზე, პოზიტიური შედეგები ცალსახაა; შემცირდა რთული ქცევები და სწავლის პრობლემები, გაიზარდა შესაბამისი ქცევები, გაუმჯობესდა სოციალური და კომუნიკაციური უნარები და მოსწავლეები აქტიურად ჩაერთვნენ სასწავლო პროცესში.

მშობელთა კმაყოფილების კვლევა

კითხვარი მომზადებულია USAID-ის დაფინანსებით განხორციელებულ „საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის“ (G-PRIED) ფარგლებში.

კვლევა შეიძლება იყოს გამოყენებული მშობლების მხრიდან სკოლაზე ზოგადი შთაბეჭდილების ჩამოყალიბებისათვის. ეს განსაკუთრებით სასარგებლო იქნება იმ დირექტორებისთვის, რომლებსაც სურთ სკოლაში სასწავლო გარემოს გაუმჯობესება.

გთხოვთ, მიუთითოთ, რომელ კლასში არის თქვენი ბავშვი:

- პირველ კლასში
- მე-2 კლასში
- მე-3 კლასში
- მე- 4 კლასში
- მე-5 კლასში
- მე-6 კლასში

	კი	ნაწილობრივ	არა
1. ხართ თუ არა კმაყოფილი სკოლის მიზნებით? გთხოვთ, დააკონკრეტოთ:			
2. ხართ თუ არა კმაყოფილი სკოლის ფიზიკური მდგომარეობით? გთხოვთ, შესაბამისად უპასუხოთ თითოეულ პუნქტს:			
■ სისუფთავე	☐	☐	☐
■ უსაფრთხოება	☐	☐	☐
■ რემონტი	☐	☐	☐
■ სველი წერტილები	☐	☐	☐
■ სხვა:	☐	☐	☐
3. ხართ თუ არა კმაყოფილი სკოლაში არსებული პირობებით და რესურსებით? გთხოვთ, შესაბამისად უპასუხოთ თითოეულ პუნქტს:			
■ ბიბლიოთეკა	☐	☐	☐
■ სპორტული დარბაზი (სპორტული ნაგებობები)	☐	☐	☐
■ სცენა და შესაბამისი აღჭურვილობა	☐	☐	☐
■ მუსიკის კლასი	☐	☐	☐
■ სათამაშო მოედნები	☐	☐	☐
■ საკლასო ოთახი	☐	☐	☐
■ ფოიე ან ჰოლი	☐	☐	☐
■ სხვა:	☐	☐	☐

	კი	ნაწილობრივ	არა
4. თქვენი აზრით, არის თუ არა სკოლის შიგნით და სათამაშო მოედანზე სათანადო უსაფრთხოება, ზედამხედველობა და დისციპლინა? გთხოვთ, გააკეთოთ კომენტარი:			
5. ხართ თუ არა კმაყოფილი თქვენი ბავშვის საგანმანათლებლო პროგრამის ზოგადი ხარისხით?			
6. ხართ თუ არა კმაყოფილი თქვენი ბავშვის წასაკითხი პროგრამის ზოგადი ხარისხით?			
7. ხართ თუ არა კმაყოფილი თქვენი ბავშვის მათემატიკის პროგრამის ზოგადი ხარისხით?			
8. ხართ თუ არა კმაყოფილი თქვენი ბავშვის სპორტული პროგრამისა და კლასგარეშე აქტივობის ზოგადი ხარისხით? გთხოვთ, შესაბამისად უპასუხოთ თითოეულ პუნქტს:			
■ სკოლის სპორტული გუნდები	☐	☐	☐
■ აქტივობა არდადეგების დროს	☐	☐	☐
■ ხელოვნება	☐	☐	☐
■ თეატრალური წარმოდგენები	☐	☐	☐
■ მუსიკა	☐	☐	☐
■ სხვა:	☐	☐	☐
9. იცით თუ არა, როგორ სწავლობს თქვენი შვილი სკოლაში?			
10. აქვს თუ არა თქვენს ბავშვს სკოლაში სიარულთან დაკავშირებული ამა თუ იმ სახის შფოთვა? (მათ შორის, სკოლაში ან სკოლიდან ფეხით სიარული, სკოლაში ან სკოლიდან ტრანსპორტით მგზავრობა, სკოლაში ყოფნა და სხვა). გთხოვთ, გააკეთოთ კომენტარი:			
11. ფიქრობთ თუ არა, რომ თქვენს შვილს აძლევენ აზრიან საშინაო დავალებებს?			
12. ფიქრობთ თუ არა, რომ თქვენს შვილს საშინაო დავალებებს სათანადო მოცულობით აძლევენ?			
13. ჩამოთვლილი აქტივობებიდან რომელს იყენებთ თქვენი შვილის დასახმარებლად საშინაო დავალების მომზადებასა თუ შინ სწავლაში? გთხოვთ, შესაბამისად უპასუხოთ თითოეულ პუნქტს:			
■ მასწავლებლებისადმი მხარდაჭერის უზრუნველყოფა	☐	☐	☐
■ მასწავლებლების ინფორმირება საშინაო დავალების შესრულებასთან დაკავშირებულ პრობლემებსა თუ სირთულეებზე	☐	☐	☐
■ მშვიდი გარემოს შექმნა საშინაო დავალების შესასრულებლად	☐	☐	☐
■ ძალისხმევის, მიღწევების და დადებითი დამოკიდულების წახალისება	☐	☐	☐
■ საშინაო დავალების შემოწმება	☐	☐	☐
■ ქება, ინტერესისა და მზრუნველობის გამოჩენა	☐	☐	☐

	კი	ნაწილობრივ	არა
■ ყოველდღიური კითხვის წახალისება (მაგ. გაზეთების, ჟურნალებისა და წიგნების)	☐	☐	☐
■ სხვა:	☐	☐	☐
14. გაქვთ თუ არა საკმარისი ინფორმაცია სასკოლო აქტივობისა და მოხალისეობრივი შესაძლებლობების შესახებ?			
15. თქვენი აზრით, სკოლაში რომელი კონკრეტული სფეროები საჭიროებს გაუმჯობესებას? გთხოვთ, შესაბამისად უპასუხოთ თითოეულ პუნქტს და დაამატოთ ის პუნქტები, რომლებიც, თქვენი აზრით, გათვალისწინებული უნდა იყოს:			
■ სასწავლო პროგრამის შესაბამისობა საკლასო საფეხურთან	☐	☐	☐
■ ჯანმრთელობა და უსაფრთხოება			
■ აკადემიური მოსწრების მაღალი დონე (წერა, კითხვა და ანგარიში)	☐	☐	☐
■ დროული, შესაბამისი და მიმზიდველი შინაარსობრივი მასალები და აღჭურვილობა	☐	☐	☐
■ მშობელთა გავლენა მასალების შერჩევაზე			
■ კლასგარეშე აქტივობა (სპორტი, საარდადეგებო აქტივობა და ფაკულტატური პროგრამები)	☐	☐	☐
■ სასკოლო, სამეცნიერო, ისტორიული და კომპიუტერული გამოფენები	☐	☐	☐
■ მშობელთა და მოსწავლეთა კმაყოფილება სასკოლო პროგრამით	☐	☐	☐
■ პროგრამის გაჯერება უფრო მაღალი მოსწრების ხელშეწყობის მიზნით	☐	☐	☐
■ სირთულეების მქონე მოსწავლეებისთვის დახმარების გაწევა	☐	☐	☐
■ ყველა მოსწავლის მოზიდვა საზოგადოების პასუხისმგებელ წევრებად მათი ჩამოყალიბების პროცესში, აკადემური და სოციალური თვალსაზრისით	☐	☐	☐
■ სხვა, გთხოვთ, მიუთითოთ:	☐	☐	☐
16. თქვენი აზრით, გაწვდით თუ არა სკოლა დროულ და სრულ ინფორმაციას ყველა ღონისძიებისა თუ აქტივობის შესახებ?			
17. ხართ თუ არა კმაყოფილი კლასში არსებული მოხალისეობრივი შესაძლებლობებით?			
18. ხართ თუ არა კმაყოფილი სკოლის დირექტორთან ურთიერთობით?			

პუნქტების ჩამონათვალი, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს მოზეელთა ჩართულობის პროგრამაში

თქვენ, როგორც სკოლის დირექტორს, შეიძლება გსურდეთ ამ პუნქტების განხილვა, რომლებითაც სკოლებში მშობელთა ჩართულობა იზომება. ეს ინდიკატორები შეიძლება გამოგადგეთ თქვენი სკოლისთვის საკუთარი ინ-დიკატორების შემუშავებისას.

		√
1	სკოლის საქმიანობაში სხვადასხვა სათემო ჯგუფების წევრი მშობლები მონაწილეობენ	
2	სკოლის საქმიანობაში მონაწილე მშობლების რაოდენობა წლის განმავლობაში იზრდება	
3	სკოლის საქმიანობაში მონაწილე მშობლების რაოდენობა წლის განმავლობაში იზრდება	
4	ტარდება სკოლის ვებგვერდის მონიტორინგი, რათა დადგინდეს იმ მშობლების რაოდენობა, რომლებიც ვებგვერდზე შედიან	
5	მშობლები იზიარებენ სკოლის ხედვას / მისიას	
6	მშობლებს წვლილი შეაქვთ არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში სკოლის მიერ შემუშავებული კითხვარების შევსებით	
7	სასკოლო კულტურა ფოკუსირებულია მოსწავლის სწავლაზე, მოსწრებაზე და კეთილდღეობაზე, დინამიურია და ინტერაქტიულია	
8	მშობლის დიალოგი მასწავლებელთან ხშირია და ფოკუსირებულია მოსწავლის შედეგებზე	
9	სკოლა კარგად იცნობს ოჯახის გარემოებებს და რეკომენდაციებს იძლევა, როგორ შეიძლება უკეთესად მუშაობა მათ შვილებთან შინ	
10	სკოლა ინფორმაციას აწვდის მშობლებს სასკოლო ღონისძიებების და ბავშვის პროგრესის შესახებ	

მშობლთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში და მშობლთა პედაგოგიზაცია

სალომე ჩხეიძე

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დოქტორანტი, განათლების ინტეგრირებული მართვის სისტემის მენეჯერი

» მშობლთა სწორ კონსულტირებასა და აღმზრდელობითი საქმიანობის სწავლებაში, ანუ მშობლთა ერთგვარ პედაგოგიზაციაში დიდი წვლილი სწორედ სკოლას მიუძღვის.

მშობლების უნარი, აღზარდონ შვილი, მიიღწევა ცოდნის მუდმივი გაუმჯობესებითა და გაღრმავებით. შესაბამისად, მშობლებს ესაჭიროებათ სათანადო რეკომენდაციები, რათა შეძლონ ბავშვის სრულფასოვანი აღზრდა. სწორედ მშობლებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად, ბავშვის აღზრდაზე და არასაკმარისმა ან არასრულფასოვანმა ცოდნამ შესაძლოა სერიოზული ზიანი მიაყენოს ბავშვის აღზრდის საკითხს. მშობელთა სწორ კონსულტირებასა და აღმზრდელობითი საქმიანობის სწავლებაში, ანუ მშობელთა ერთგვარ პედაგოგიზაციაში დიდი წვლილი სწორედ სკოლას მიუძღვის.

კაცობრიობის ისტორიაში, უძველესი ეპოქიდან დღემდე, მშობლის უფლება – აღზარდოს შვილი, არასდროს დამდგარა კითხვის ნიშნის ქვეშ. 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებების დაცვის დეკლარაციაში ვკითხულობთ შემდეგს: „ოჯახი არის ბუნებრივი და ძირითადი სოციალური უჯრედი და მას აქვს საზოგადოებისა და სახელმწიფოსგან დაცვის უფლება“ (მუხლი 16 პუნქტი 3). ამავე დეკლარაციის თანახმად, მშობლებს აქვთ უპირატესობა, აირჩიონ, რა ტიპის განათლებას მისცემენ თავიანთ შვილს, შესაბამისად, მშობლებს სჭირდებათ სათანადო ცოდნა ამ გადაწყვეტილების მისაღებად.

მნიშვნელოვანია, აღვნიშნოთ, რომ ტერმინი „მშობელი“ არ ეხება მხოლოდ დედას ან მამას. მშობელი შეგვიძლია ვუწოდოთ ყველა იმ პირს, ვინც ჩართულია ბავშვის აღზრდაში. როგორც წესი, დედ-მამა ზრუნავს ბავშვის აღზრდა-განათლებაზე, მაგრამ მათ გარდა, ბავშვის აღზრდაზე ხშირად პასუხისმგებლობას იღებენ ბებიები, ბაბუები, დეიდები, მამიდები, ბიძები, და სხვ. ჩვენ ტერმინ „მშობელში“ ვგულისხმობთ ყველა იმ ზრდასრულ პირს, ვინც პასუხისმგებელია ბავშვის აღზრდასა და კეთილდღეობაზე.

ოჯახი ღია სტრუქტურაა, შესაბამისად, ის ბავშვს აღზრდის, როგორც საზოგადოების წევრს, რომელმაც უნდა შეძლოს ადაპტაცია განსხვავებულ გარემოებებთან და ფაქტორებთან. აღზრდის დროს, ასევე, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის საჭიროებები და მოლოდინები, რომლებიც საზოგადოებაში დგას. წარმოიდგინეთ, რაოდენ დიდი მისია აკისრია მშობელს არა მხოლოდ საკუთარ შვილთან, არამედ საზოგადოების წინაშე, ვინაიდან ის თავისი ქმედებით პასუხისმგებელია, რომ მის მიერ გამოყენებული აღზრდის მეთოდი არის მიზნობრივი და ეფექტური

როგორც საკუთარი შვილის კეთილდღეობისათვის, ასევე, საზოგადოებასთან მისი ადაპტაციის კუთხით. ამ ყოველივეს კი შესაბამისი ცოდნა და უნარები სჭირდება.

მშობელთა პედაგოგიზაციის პროგრამების შედგენისას, აღზრდის უნარისა და ცოდნის გათვალისწინებით, შესაძლოა მშობლები დავყოთ რამდენიმე კატეგორიად:

1. მშობლები, რომლებმაც იციან მშობლის უფლებები და ვალდებულებები, არიან სათანადოდ მზად, გააჩნიათ ბავშვის აღზრდისთვის შესაბამისი ცოდნა და უნარები, შექმნილი აქვთ პოზიტიური ოჯახური გარემო და დამოკიდებულება. დარწმუნებულები არიან თავიანთ გადაწყვეტილებებში. აქვთ კარგი ცოდნა, თუ რა ტექნიკა და მეთოდები გამოიყენონ ბავშვის აღზრდისა და მისი კეთილდღეობისათვის. ზუსტად იციან, როგორ შეუქმნან შვილს ჯანსაღი ფსიქო-ემოციური კლიმატი. იშვიათად საჭიროებენ დახმარებას აღზრდის საკითხებში.
2. მშობლები, რომელთაც აქვთ საკმარისი ცოდნა და უნარები, რათა აღზარდონ შვილი და შეუქმნან მას ჯანსაღი ფსიქო-ემოციური კლიმატი, თუმცა დარმწუნებულები არ არიან თავიანთ გადაწყვეტილებებში. ასევე, შესაძლოა არ ჰქონდეთ საკმარისი დრო, რომელსაც დაუთმობენ შვილს და უპირატესობას ანიჭებენ, იხელმძღვანელონ პროფესიონალების რჩევებით აღზრდის საკითხში. ამ შემთხვევაში, როგორც წესი, ამ ტიპის მშობლები მიმართავენ ხოლმე სხვადასხვა ტიპის კონსულტაციებს.
3. მშობლები, რომელთაც არ აქვთ სათანადო განათლება, უნარები და კომპეტენცია, მაგრამ აჩვენებენ სრულად პოზიტიურ დამოკიდებულებას და გაცნობიერებულად ეძებენ დახმარებას და კონსულტაციას ოჯახისა და საგანმანათლებლო პრობლემების მოგვარებისათვის.
4. მშობლები, რომელთაც არ აქვთ ბავშვის აღზრდისათვის საკმარისი ცოდნა, გამოცდილება და კომპეტენცია. ამასთანავე, აქვთ სერიოზული შიდა კონფლიქტები, არ გააჩნიათ ადაპტაციის უნარი, შესაძლოა ჰქონდეთ ძალადობრივი ქმედებებიც. ამავდროულად, უარს აცხადებენ პროფესიული დახმარების მიღებაზე. ვერ აღიქვამენ სიტუაციის ცვლილების საჭიროებასა და კონსულტაციის აუცილებლობას.

მშობელთა ზემოაღნიშნული კატეგორიები, შესაძლოა, უფრო გაფართოვდეს. ეს ჩამონათვალი წარმოადგენს საფუძველს იმისას, თუ რამდენად საჭიროა ოჯახისთვის ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური დახმარება. ასევე, მკაფიოდ ჩანს, რომ არსებობს მშობელთა ჯგუფი, რომელიც საჭიროებს კონსულტირებასა და დახმარებას შვილის აღზრდაში, და მშობელთა კატეგორია, რომელიც ფლობს აღზრდისათვის საჭირო სათანადო უნარებს, თუმცა სჭირდება მოტივაცია, გაიღრმავოს საკუთარი ცოდნა, აიმაღლოს კომპეტენცია და განავითაროს შესაბამისი უნარები. ეს კი, თავის მხრივ, მიუთითებს შესაბამისი საკონსულტაციო ცენტრებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ეფექტური და მიზნობრივი მუშაობის აუცილებლობაზე და, ცხადია, გამოკვეთს სკოლის როლს ამ მიმართულებით.

„ოჯახი არის გუნეგრივი და ძირითადი სოციალური უჯრედი და მას აქვს საზოგადოებისა და სახელმწიფოსგან დაცვის უფლება“ (მუხლი 16 პუნქტი 3).

მშობლისა და სკოლის ურთიერთთანამშრომლობა, მშობელთა პედაგოგიზაციის მიზნით

მშობელთა წარმატებული ჩართულობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც მშობლის აქტიური, რეგულარული მონაწილეობა მისი შვილის განათლებაში. ჩართულობის გამოვლენა შინაც არის შესაძლებელი – როდესაც მშობელი შვილებთან ერთად

» მშობელთა წარმატებული ჩართულობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც მშობლის აქტიური, რეგულარული მონაწილეობა მისი შვილის განათლებაში.

კითხულობს, საშინაო დავალების მომზადებაში ეხმარება და სკოლაში მიმდინარე მოვლენებს განიხილავს. ზოგ სკოლაში მშობელს შეუძლია, ნებაყოფლობითი მონაწილეობა მიიღოს კლასის საქმეებში. ასეთი სკოლები მშობლებთან რეგულარულად ურთიერთობენ და სასწავლო პროცესში რთავენ მათ. მშობლის ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში ჯერ კიდევ შვილის სკოლაში მისვლამდე იწყება. დღესდღეობით, სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევები, როდესაც ბავშვი აბსოლუტურად მოუმზადებელია სკოლისათვის და მასთან შესაბამისი სამუშაოები არ აქვს ჩატარებული მშობელს, რათა მოსწავლისთვის ნაკლებად მტკივნეული და სტრესული იყოს ახალ გარემოსთან ადაპტაცია. მნიშვნელოვანია, რომ მშობლებმა ბავშვთან წარმართონ სამუშაოები იმ საბაზისო უნარებზე, რაც მას დასჭირდება, როგორც მოსწავლეს. ამ მხრივ კი, მშობლისთვის სათანადო ინფორმაციის საუკეთესოდ მიმწოდებელი არის სკოლა.

თუმცა მშობლის ჩართულობა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ინფორმაციის გაზიარებით, რადგან მთავარი სწორედ ამ ინფორმაციის სწორი ანალიზი და ეფექტური პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვაა. შესაბამისად, მშობელმა ზუსტად უნდა იცოდეს, კონკრეტულ სიტუაციაში რა ქმედებებს უნდა მიმართოს იმისათვის, რომ ამა თუ იმ საკითხის პრევენციული ღონისძიება იყოს მაქსიმალურად ეფექტური, ბავშვის კეთილდღეობასა და მის აღზრდაზე ორიენტირებული. აქ კი აუცილებად პროფესიონალის დახმარებაა საჭირო. ხშირად, მაგალითად, გარდატეხის ასაკში, როდესაც ბავშვს უჩნდება პროტესტი სამყაროს მიმართ, იწყებს საკუთარი თავის უკეთ გაცნობას და უყალიბდება საკუთარი ხედვა და მოსაზრება, მშობელი მიმართავს აღზრდის არასწორ გზას. ეს შესაძლოა იყოს ისეთი ქმედებები, რაც არის აკრძალვა/კონფლიქტი/ჩხუბი ბავშვთან, სხვადასხვა სადამსჯელო აქტივობა და სხვ. ეს კი შესაძლოა იმ კონკრეტულ სიტუაციაში დროებით აღმოჩნდეს ეფექტური, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში საკმაოდ ნეგატიური ეფექტი მოახდინოს ბავშვის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე. აქედან გამომდინარე, სკოლის როლი მშობლის სასკოლო ცხოვრებაში ჩართვისა და მისთვის სააღმზრდელო საკითხებზე კონსულტაციისათვის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

მან ზუსტი და კომპეტენტური რჩევა უნდა მისცეს მშობელს, თუ როგორ უნდა წარიმართოს ამა თუ იმ პრობლემის მოგვარება და ბავშვთან მუშაობა. მშობელი კი, თავის მხრივ, მზად უნდა იყოს ამ რჩევის მისაღებად და გააცნობიეროს მსგავსი ქმედების მნიშვნელობა.

ერიკ ერიკსონის ფსიქო-სოციალური სტადიების ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ სწორედ მშობლების ურთიერთდამოკიდებულება და შეფასებები განსაზღვრავს დაცულობისა და უსაფრთხოების განცდას, მორალურ მხარდაჭერას, ბავშვში სტაბილური, ადეკვატური თვითშეფასების ჩამოყალიბებას, ავტონომიურობის, ინიციატივის, შრომისმოყვარეობის, პასუხისმგებლობის განვითარებას. ამგვარად, ოჯახი და ოჯახში ყოველი წევრის, განსაკუთრებით კი მშობლის პიროვნული მახასიათებლები და ღირებულებათა სისტემა ასრულებს უმნიშვნელოვანეს როლს ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში.

პრაქტიკული რჩევები მშობლებს:

- დაეხმარეთ შვილს, შეადგინოს მეცადინეობის გრაფიკი, რომელიც ხელს შეუწყობს, შეასრულოს საშინაო დავალება უფრო ეფექტურად, წაიკითხოს დამოუკიდებლად, ჰქონდეს დრო დასვენებისათვისა და კარგი და ჯანსაღი ძილისთვის. ესაუბრეთ ბავშვს სკოლაში მიმდინარე მოვლენებზე. მოიპოვეთ ნდობა, რომ თქვენ შვილს ჰქონდეს სურვილი, გესაუბროთ სკოლაზე;
- წაუკითხეთ ბავშვებს, ან იკითხეთ მათთან ერთად, ან ერთად უყურეთ ფილმებს. დღეში 10-20 წუთიც კი საკმარისია იმისათვის, რომ შედგეს კომუნიკაცია თქვენსა და ბავშვს შორის. ერთად იკითხეთ და ერთად აღმოაჩინეთ სიახლეები. ეს კიდევ უფრო დაგაახლოვებთ შვილთან და მოიპოვებთ მასში ნდობას. ყველაზე დიდი მემკვიდრეობა, რაც შეიძლება მშობელმა ბავშვს დაუტოვოს, ეს არის დრო, რომელსაც მას დაუთმობს;
- შეეკითხეთ მასწავლებელს, რა ფორმის კომუნიკაციას ანიჭებენ უპირატესობას. შესაძლოა სმს შეტყობინება მათთვის უფრო მოსახერხებელი ფორმა იყოს თქვენთან კომუნიკაციისთვის, ან, პირიქით, სატელეფონო ზარს ან პირისპირ შეხვედრას ანიჭებდეს უპირატესობას. მთავარია, პედაგოგმა აუცილებლად დროულად უნდა მოგაწოდოთ ინფორმაცია ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემის შესახებ;
- დაესწარით სასკოლო ღონისძიებებს. გამონახეთ დრო და ჩაერთეთ სასკოლო ცხოვრებაში. ეს მოგცემთ საშუალებას, უკეთ დაინახოთ და გაეცნოთ იმ გარემოს, სადაც ბავშვი ატარებს თავისი დროის დიდ ნაწილს;
- ივახშმეთ/ისადილეთ თქვენს შვილთან ერთად, დაუთმეთ დრო საშინაო რუტინაში ერთად მონაწილეობას. ეს საუკეთესო საშუალებაა, იმსჯელოთ სხვადასხვა საკითხზე.

როგორც დიმიტრი უზნაძე გვეუბნება, „მხოლოდ მცენარის თესლი არ არის საკმარისი მცენარის განვითარებისთვის, ასევე, აუცილებელია სათანადო გარემო, რათა თესლი მცენარედ იქცეს“. ამიტომ აუცილებელია, თითოეულმა მშობელმა გააცნობიეროს საკუთარი როლი ბავშვის აღზრდაში, ითანამშრომლოს სკოლასთან, რომელიც, ასევე, თავის მხრივ, ვალდებულია, უზრუნველყოს მშობლის მიზნობრივი ინფორმირება, რომ ამ ორი რგოლის წარმატებული ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, შევძლოთ ჯანსაღი, პროგრესულად მოაზროვნე და წარმატებული თაობის აღზრდა.

ბავშვის ურთიერთდამოკიდებულება და შეფასებები განსაზღვრავს დაცულობისა და უსაფრთხოების განცდას, მორალურ მხარდაჭერას, ბავშვში სტაბილური, ადეკვატური თვითშეფასების ჩამოყალიბებას, ავტონომიურობის, ინიციატივის, შრომისმოყვარეობის, პასუხისმგებლობის განვითარებას. ამგვარად, ოჯახი და ოჯახში ყოველი წევრის, განსაკუთრებით კი მშობლის პიროვნული მახასიათებლები და ღირებულებათა სისტემა ასრულებს უმნიშვნელოვანეს როლს ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში.

პრაქტიკული რჩევები სკოლაში მშობელთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად

ხათუნა გარაგაძე

პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის დაწყებისა და კარიერული ზრდისკენ მხარდაჭერის პროგრამის ხელმძღვანელი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ვინაიდან სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა პოზიტიური ჩართულობის გასაღები არის ეფექტური კომუნიკაცია სკოლასა (მასწავლებლებს, ადმინისტრაციას, სპეციალისტებს, მოსწავლეებს, სკოლაში დასაქმებულ პირებს და ა.შ.) და მშობლებს შორის, გთავაზობთ რამდენიმე სტრატეგიას, რომელიც დაგეხმარებათ, სათანადოდ წარმართოთ კომუნიკაცია მშობელთა პოზიტიური ჩართულობის ხელშესაწყობად.

მშობლების ჩართულობის გაზრდის სტრატეგიები (HOOVER DEMPSEY ET AL., 2005)

შექმენით მიმზიდველი, კეთილმოსურნე სასკოლო კლიმატი

- სკოლის შემოსასვლელებსა და დერეფნებში განალაგეთ სკოლის ყველა ოჯახთან დაკავშირებული, მათი პოზიტიური გამოცდილების ამსახველი ვიზუალური ელემენტები (ფოტოები, ნივთები, სურათები, ისტორია); ფოკუსირება მოახდინეთ დადებითი ემოციის შექმნაზე, რომ “ეს არის ჩვენი სკოლა; აქ ჩვენც ვართ”;
- მუდმივ მიზნად დაისახეთ სწრაფვა სკოლის პოზიტიური კლიმატის გაუმჯობესებასა და შენარჩუნებისკენ და ნდობის ჩამოყალიბება ურთიერთპატივისცემის, პასუხისმგებლობისა და მასწავლებელსა და მშობელს შორის კომუნიკაბელური ურთიერთობის გზით;
- იზრუნეთ სასკოლო საზოგადოებას ეფექტური კომუნიკციის უნარების განვითარებაზე;
- მშობლებისთვის სკოლაში შექმენით კომფორტული სივრცე, სადაც მშობლებსა და მასწავლებლებს ხელს შეუწყობთ კომუნიკაციაში;
- მოძებნეთ მოხალისე მშობელი/ები, რომლებიც მიაწვდიან სხვა მშობლებს ინფორმაციას სკოლის სამუშაო პრაქტიკისა და სხვა დეტალების შესახებ, დაეხმარებიან უცხოენოვან მშობლებს ინფორმაციის თარგმნაში, მისცემენ რჩევებს და იქნებიან მშობლების მეგობრული საყრდენი.

აღჭურვეთ მასწავლებლები მშობლებთან კომუნიკაციის მზადყოფნისთვის; სკოლის ყურადღება დინამიურად, სისტემატურად და მიზნობრივად მიმართეთ სკოლა-მშობლის ურთიერთობის გაუმჯობესებისკენ:

შეიმუშავეთ სასკოლო რუტინული პრაქტიკა, რომელიც ორიენტირებული იქნება მშობელთან დისკუსიასა და პოზიტიურ, ნდობით აღჭურვილი ურთიერთობის შექმნა-განვითარებაზე; სკოლა-ოჯახს შორის

ურთიერთობა და ინტერაქცია აქციეთ სკოლის ყოველდღიური ცხოვრებისა და კულტურის ნაწილად, მაგალითად:

- სისტემატურად ეძიეთ მშობლების იდეები, პერსპექტივები, მოსაზრებები, კითხვები სკოლისა და ოჯახის როლების შესახებ მოსწავლეთა სწავლა-სწავლებაში;
- რეგულარულად გამოყავით შეხვედრებისთვის დრო მშობლების ჩართულობის, სკოლის წარმატებული პრაქტიკებისა და ახალი იდეების განსახილველად;
- შეიმუშავეთ და შეინახეთ მასწავლებლისა და მშობლის იდეების აქტიური სასკოლო დოკუმენტი იმის შესახებ, თუ რა არის სასარგებლო და ეფექტური მშობლების ჩართულობის დანერგვისას;
- სკოლაში აამაღლეთ ცნობიერება სკოლა-ოჯახის ურთიერთობების შესახებ; შექმენით სასკოლო რესურსბანკი, რაც მასწავლებლებს დაეხმარება მშობლებთან ურთიერთობის გაუმჯობესებაში;
- მასწავლებლებისთვის შექმენით სასწავლო პროგრამები, რომლებიც მიმართული იქნება მშობელთან მუშაობის გაუმჯობესებასა და ოჯახებთან ძლიერი პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბებისკენ, პროგრამებმა უნდა მისცენ მასწავლებლებს კოლეგებთან და მშობლებთან თანამშრომლობისა და ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა; შექმნან შესაძლებლობები პრაქტიკისთვის და შემოთავაზებული სტრატეგიების გადახედვისთვის;
- ჩამოაყალიბეთ მასწავლებლების, ოჯახებისა და საზოგადოების ჩართვაზე მორგებული გეგმები;
- გაეცანით მშობლების საგანმანათლებლო მიზნებს, პერსპექტივებსა და კულტურას;
- შესთავაზეთ წინადადებები, რომლებიც მიმართულია ბავშვისთვის სწავლის ხელშეწყობისკენ;
- გააუმჯობესეთ ორმხრივი კომუნიკაცია კითხვების დასმითა და აქტიური მოსმენით;
- გამოიკითხეთ მშობლების ხედვები და წინადადებები ბავშვისა და მისი განათლების შესახებ და მიჰყევით მათ;
- შეცვალეთ მიმდინარე მიდგომები და შეიმუშავეთ ახალი სტრატეგიები ოჯახების უკეთ ჩართვისთვისა და მათთან კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად.

ჩართულობის გასაძლიერებლად, შეუერთდით მშობელ-მასწავლებელთა გაერთიანებებსა და სტრუქტურებს:

- გამოიყენეთ სკოლის შემდგომი პროგრამები ოჯახებთან კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად და სკოლის აქტივობებში პერსონალის ჩასართავად (შეხვედრები, პროფესიული განვითარების შესაძლებლობების განხილვა);
- ჩართეთ ყველა ოჯახი მშობელთა ჯგუფებში, წაახალისეთ მრავალფეროვანი აქტივობები და იმუშავეთ მშობელთა ლიდერებთან ერთად ღია ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად;
- შექმენით საკონსულტაციო ჯგუფები საბაზო/საშუალო საფეხურებზე, რათა მშობლებმა შეამოწმონ ზოგადი ინფორმაცია ბავშვის პროგრესზე, პროგრამის დაგეგმვაზე და ა.შ.
- იზრუნეთ თემისა თუ რაიონულ მხარდაჭერაზე ოჯახი-სკოლის უკეთესი თანამშრომლობისათვის საჭირო ინიციატივების განსახორციელებლად (მაგ. მშობლის რესურსცენტრი, წვდომა ტელეფონსა და ელექტრონულ ფოსტაზე საკლასო ოთახებში, სკოლაში დაფუძნებული საოჯახო ცენტრები და ა.შ.).

დაგეგმეთ ჩართულობის მრავალფეროვანი შესაძლებლობები, მათ შორის, სტანდარტული აქტივობები, როგორებიცაა მშობელთა კონფერენციები და მოსწავლეთა სპექტაკლები, ასევე, ახალი შესაძლებლობები სკოლისა და საზოგადოებისთვის, როგორებიცაა სკოლის პირველი დღე, მშობელთა სემინარები და სოციალური/ქსელური ღონისძიებები:

- შესთავაზეთ კონკრეტული მოწვევები კონკრეტულ ღონისძიებებსა და მოხალისეობის შესაძლებლობებზე სკოლაში; დაგეგმეთ აქტივობები ისეთ დროს, რომელიც მოერგება მოუქნელი სამუშაო გრაფიკის მქონე ოჯახებს;
- ეს შესაძლებლობები დაარეკლამეთ მკაფიოდ, მიმზიდველად და განმეორებითად, ოჯახების ინტერესებსა და საჭიროებებზე გათვლილი მეთოდების გამოყენებით.

მოიწვიეთ მასწავლებლები, მშობლები, სკოლის ადმინისტრაციის წევრები და ტექნიკური პერსონალი მოსწავლეზე ორიენტირებულ ღონისძიებებზე სკოლაში:

- გაზარდეთ მშობლისა და მასწავლებლის არაფორმალური კომუნიკაციისა და ურთიერთობის შესაძლებლობები;
- გამოიყენეთ ეს ღონისძიებები მშობლების კომენტარებისა და წინადადებების მოსასმენად და გასათვალისწინებლად;
- გამოიყენეთ ღონისძიებები, როგორც ადგილი მოკლე, მიმზიდველად ფორმატირებული ინფორმაციის გასავრცელებლად მშობლების ჩართულობის საკითხებზე (მაგ. განვითარებისთვის შესაფერისი, ადვილად განსახორციელებელი წინადადებები მოსწავლეთა სწავლის მხარდასაჭერად; ინფორმაცია მშობლების ჩართულობის შესახებ კვლევებზე; ინფორმაცია სკოლის პოლიტიკასა და მომავალ ღონისძიებებზე).

ძლიერი სასკოლო კულტურა განაპირობებს , რომ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი თავს გრძნობს დაცულად და დაფასებულად. ეს არის კულტურა, სადაც ყველა მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს აქვს შესაძლებლობა, იყოს აქტიურად ჩრთული სასკოლო ცხოვრებაში. ასეთი კულტურა იწყება სწორი და ეფექტური კომუნიკაციით. ამიტომ, სკოლის მასშტაბით კომუნიკაციაზე ფოკუსირება არის გასაღები ყველა მშობლისა და მოსწავლისთვის თანაბარი შესაძლებლობების შესაქმნელად. მთელი სკოლის კომუნიკაციის გეგმა უნდა უზრუნველყოფდეს, რომ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრმა მისთვის ხელმისაწვდომი გზით მიიღოს მნიშვნელოვანი და დროული ინფორმაცია.

ამ სტრატეგიების გათვალისწინებით, შესაძლებელია სწრაფად და ეფექტურად შეცვალოთ და გაზარდოთ მშობელთა პოზიტიური ჩართულობა.

სკოლისა და მშობლების ურთიერთთანამშრომლობის წარმატებული საერთაშორისო პრაქტიკა

ნინო გაგელიძე
განათლების სპეციალისტი

წინამდებარე სტატიაში მიმოვიხილავთ წარმატებულ საერთაშორისო გამოცდილებას საფრანგეთის სკოლებისა და სხვა ევროპული ქვეყნების მაგალითზე. ამ გამოცდილებაზე საუბრისას, დავეყრდნობით რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს:

მშობლებთა რა ტიპის ჩართულობაა საჭირო და რისთვის?

- გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, გავითვალისწინოთ ორივე – რა შეუძლიათ სკოლებს, გააკეთონ მშობლებისთვის და რა შეუძლიათ მშობლებს, გააკეთონ სკოლებისათვის.
- მშობელთა ჩართულობის არსებული კარგი პრაქტიკების გამოყენება უმნიშვნელოვანესია სკოლის ადრეული მიტოვების პრობლემაზე სამუშაოდ.

რა გამოწვევები არსებობს სკოლებისა და მშობლებს შორის თანამშრომლობის თვალსაზრისით?

- მშობლების უფლება, იყვნენ ინფორმირებული შვილების სასკოლო განათლების შესახებ და ჰყავდეთ ოფიციალური წარმომადგენლობა სკოლების კომიტეტებსა და საბჭოებში, ქვეყნების უმრავლესობაში, სამართლებრივად უზრუნველყოფილია. თუმცა, კანონმდებლობაში გაცხადებულ მიზნებსა და პოლიტიკასა და რეალურ პრაქტიკას შორის გარკვეული შეუსაბამობა შეინიშნება;
- მშობლებთან თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად, მთელი რიგი ურთერთშემავსებელი ღონისძიებების გატარებაა საჭირო, როგორც ფორმალური, ასევე, არაფორმალური არხებით, იმის გაცნობიერებით, რომ არსებობს მშობელთა განსხვავებული ჯგუფები, მშობლობის განსხვავებული სტილები და სკოლებისგან დისტანცირების სხვადასხვა ხარისხი;
- მშობლების ჩართულობის ინტენსიურობა მჭიდრო კავშირშია მათ სოციო-ეკონომიკურ სტატუსთან. არახელსაყრელი პირობების მქონე ბევრ მშობელს სკოლის მიმართ მაღალი მოლოდინები აქვს, ისინი ღელავენ მათი შვილების აკადემიურ მოსწრებაზე, თუმცა არ ერთვებიან, რადგანაც არ იცნობენ სკოლის არსებულ სისტემას და მისი ტერმინოლოგია მათთვის გასაგები არ არის. ზოგი დემოტივირებულია სკოლაში საკუთარი წარუმატებლობის გამოცდილების გამო და არ მიიჩნევს, რომ შვილების მხარდაჭერა ხელეწიფება. მიგრანტ მშობლებს, შესაძლოა, არ ჰქონდეთ სათანადო ენობრივი უნარები სკოლასთან კომუნიკაციის დასამყარებლად, ან შეიძლება იმედგაცრუებამ მოიცვას თავიანთი და მასპინძელი ქვეყნის ღირებულებებსა და კულტურას შორის არსებული დაშორების შეგრძნების გამო;
- მეორე მხრივ, უფრო მაღალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის მქონე მშობლები, რომლებიც შესაძლოა აღვწეროთ, როგორც საგანმანათლებლო სერვისების „მომხმარებლები“, სკოლისაგან მაღალი სტანდარტის შენარჩუნებასა და ცოდნის შემოწმებაზე ფოკუსირებას ელიან;
- მეორე მხარის პერსპექტივიდან, მასწავლებლები და სკოლის წარმომადგენლები შეიძლება აღიქვამდნენ

მშობლებს პასიურ, ოპორტუნისტულ ან კონფლიქტურ მხარედ და არასაკმარისად მომზადებულად გრძნობდნენ თავს მათთან კომუნიკაციისა და ეფექტიანად ურთიერთობისთვის. შესაძლოა, შიშობდნენ, რომ მშობლების ჩართვა მათგან დიდ დროს წაიღებს და ეს მათი სწავლების ვალდებულებებს დააზარალებს. პრაქტიკაში, მშობლების ჩართულობა და მათთან კომუნიკაცია, როგორც მასწავლებლისა და სკოლის ერთ-ერთი საკვანძო როლი, ბავშვების წარმატების მხარდასაჭერად, საკმარისად აღიარებული არ არის;

- ეფექტიანი თანამშრომლობის დამატებით გამოწვევას საბაზო და საშუალო საფეხურზე წარმოადგენს უფროსი მოსწავლეების დამოკიდებულება მშობლების ჩართულობასთან მიმართებით და კომუნიკაციის პრობლემები ახალგაზრდებსა და მათ მშობლებს შორის.

რა არის ის, რაც უკვე წარმატებით მუშაობს მოზარდების ჩართულობის გასაუმჯობესებლად?

- სკოლის ლიდერების, მასწავლებლების მზაობა და სრულიად სკოლის განწყობა მშობლებთან წარმატებული ურთიერთობის საკვანძო ფაქტორია;
- მნიშვნელოვანია ორმხრივი ნდობის ატმოსფეროს შექმნა. მნიშვნელოვანია დადებითი გარემოს შექმნა დასაწყისიდანვე; არაფორმალურ აქტივობებს, როგორებიცაა გაცნობითი შეხვედრები (სადაც დირექტორები და მასწავლებლები ესალმებიან მშობლებსა და შვილებს, არაფორმალური გზით უხსნიან სკოლების წესებსა და ფუნქციონირებას), ღია კარის დღეებსა და სადღესასწაულო აქტივობებს დახმარების გაწევა შეუძლიათ მშობლებთან კავშირების შენარჩუნებასა და გაძლიერებაში;
- მშობლებთან წვდომა და შემდგომი ჩართულობის უზრუნველყოფა განათლების ადრეულ წლებში უფრო მარტივია;
- სკოლების გაერთიანება ან დაჯგუფება (სკოლამდელიდან საშუალო საფეხურამდე) არამხოლოდ მოსწავლეების ტრანზიციას უჭერს მხარს, არამედ, შეიძლება, დაგვეხმაროს მშობლების მაღალი ჩართულობის შენარჩუნებაში;
- სკოლებს გამოყოფილი უნდა ჰქონდეთ სივრცე და დრო მშობლებისთვის: „მშობლების ოთახი“, სადაც მშობლების მოთხოვნისამებრ, სხვა პროფესიონალების (ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი და ა.შ.) დახმარებით, ორგანიზებული იქნება შესაბამისი აქტივობები; არაფორმალური კომუნიკაციის დრო და ა.შ.
- საზოგადოებისთვის სკოლის ობიექტების გახსნა სასკოლო საათებს მიღმა (მათ შორის, მშობლებისთვის ენის სწავლების მხარდასაჭერად და კურსების შეთავაზებისთვის) ხელს უწყობს მშობელთა ჩართულობას;
- მესამე მხარის წარმომადგენლები, როგორც მედიატორები, მასწავლებლებსა და (ყველაზე ძნელად მისაწვდომ) მშობლებს შორის ურთიერთობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. მესამე მხარე მოიცავს პერსონალის სხვა კატეგორიებს, როგორებიცაა, მაგალითად, კულტურული მედიატორი, მენტორი, ახალგაზრდული მუშაკი, სკოლის ფსიქოლოგი და ა.შ. ისევე, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები და მოხალისეები;
- ინფორმაციული ტექნოლოგიები (მაგალითად სოციალური ქსელები, სკოლის ვებგვერდი, ელექტრონული ჟურნალი), შესაძლოა, სასარგებლო ინსტრუმენტი იყოს მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდებისა და მათი ჩართულობისთვის.

პოლიტიკის თვალსაზრისით, რა წინაპირობებია საჭირო ამგვარი ცვლილების მხარდასაჭერად?

- საჭიროა, მდგრადი დაფინანსების უზრუნველყოფა მშობლების ჩართულობის გაძლიერებაზე მიმართული ინიციატივებისთვის;
- მშობლების ჩართულობაზე ფოკუსირება ძალიან ძლიერი უნდა იყოს ადრეული წლებიდანვე, როდესაც მშობლებთან დაკავშირება და მათსა და სკოლას შორის ნდობისა და რწმენის კავშირების შექმნა უფრო მარტივია;
- მშობლების როლისა და მათი ჩართულობის სარგებლის შესახებ ცნობიერების ამაღლება მასწავლებელთა მომზადების (როგორც მასწავლებლის მომზადების, ასევე, გადამზადების) განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს;
- სკოლების მონიტორინგი და შეფასება უნდა მოიცავდეს მშობლების ჩართულობის ღონისძიებებს, რათა მოხდეს სკოლების წახალისება, განახორციელონ ქმედებები ამ მიმართულებით; ასეთი პოტენციური ღონისძიებების შეთავაზებისას, სკოლის მხრიდან ფასილიტაციის როლი უნდა იყოს საკონსულტაციო და კონსტრუქციული;
- კარგი პრაქტიკის გაზიარება წახალისებული უნდა იყოს სხვადასხვა დონეზე.

სკოლის ადრეული მიტოვების პრობლემაზე სამუშაოდ, მშობლებთან თანამშრომლობის გაძლიერება საფრანგეთის განათლების სისტემის ეროვნული სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია.

ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, საფრანგეთში მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული, ბავშვების საუკეთესო ინტერესებისთვის მშობლების როლისა და მშობლებსა და სკოლის ერთობლივი ძალისხმევის აუცილებლობის აღიარების თვალსაზრისით.

საფრანგეთში არსებული კანონები და პოლიტიკა განათლებას ცნობს, როგორც სკოლებისა და მშობლების საერთო მისიას, რაც შეიძლება აღიწეროს, როგორც „თანასწავლება“. 1989 წლის 10 ივლისის განათლების კანონის მიხედვით, „მშობლები არიან საგანმანათლებლო საზოგადოების წევრები; სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობა და მასწავლებლებთან და სხვა პერსონალთან დიალოგი გარანტირებული იქნება თითოეულ სკოლასა და დაწესებულებაში“. მშობლების ჩართულობის მნიშვნელობა კიდევ უფრო ხაზგასმულია შედარებით ახალ, 2013 წლის 8 ივლისს მიღებულ კანონში, რომელმაც განათლების კოდექსში შემდეგი დებულებები შეიტანა: „ყველა მოსწავლის წარმატების უზრუნველსაყოფად, სკოლა ეფუძნება მშობლების მონაწილეობას, მიუხედავად მათი სოციალური წარმომავლობისა“.

მშობლების უფლებების: ინფორმაციის მიღების, გამოხატვისა და მონაწილეობის უზრუნველსაყოფად შექმნილია სამართლებრივი ბაზა. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული რეგულაციები ფოკუსირდება მშობლებზე და, შესაბამისად, არ ვრცელდება გაფართოებულ ოჯახებზე.

მშობლებს აქვთ **უფლება: მიიღონ ინფორმაცია** თავიანთი შვილის ქცევის, აკადემიური შედეგების შესახებ, ეს ხშირად ხდება „სასკოლო ბუკლეტის“ მეშვეობით (დაწყებით საფეხურზე), ან „ანგარიშის ბარათის“ მეშვეობით (საბაზო და საშუალო საფეხურებზე); ასევე, მიიღონ ინფორმაცია არსებულ კარიერულ პერსპექტივებზე. მშობლებს აქვთ უფლებამოსილება, წელიწადში, მინიმუმ, ორჯერ შეხვდნენ სკოლის პერსონალს; პერსონალმა უნდა დააკმაყოფილოს მშობლების სურვილი ინფორმაციისა და შეხვედრების მოთხოვნის შესახებ. მშობლებს შეუძლიათ, მასწავლებლების გარდა, აგრეთვე, დაუკავშირდნენ სკოლის სხვა წარმომადგენლებს (დირექტორი, სასწავლო ნაწილი, მეთოდისტი, სოციალური მუშაკი და ა. შ.).

მშობლებს აქვთ ასევე, **მონაწილეობისა** და **შეხვედრის უფლება**, სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის მიზნით. ყველა მშობელს შეუძლია, შეუერთდეს მშობელთა ასოციაციას. ყველა მშობელს შეუძლია, წარადგინოს კანდიდატთა სია მშობელთა წარმომადგენლების არჩევნებზე. მშობლების წარმომადგენლები გვხვდებიან სკოლების საბჭოების შემადგენლობაში. დამატებით, საბაზო და საშუალო სკოლის მშობლები წარმოდგენილი არიან კლასის საბჭოებში, სადაც მოსწავლეების აკადემიური შედეგები და ქცევები განიხილება, ასევე, დისციპლინურ კომიტეტებში, რომლებსაც საქმე სერიოზულ დისციპლინურ გადაცდომებთან აქვთ. გარდა ამისა, მშობლები წარმოდგენილნი არიან რიგ საკონსულტაციო ორგანოებში სხვადასხვა დონეზე, მათ შორის, ეროვნულ დონეზე.

მშობლებთან კომუნიკაცია მასწავლებლების ერთ-ერთი მოვალეობაა და მათ სამუშაო საათებში გათვალისწინებულია დრო ამ ამოცანებისთვის. თუმცა, როგორც განათლების ფრანგული ინსტიტუტის (IFE) მიერ წარმოდგენილ ლიტერატურის მიმოხილვაში იყო ხაზგასმული, მშობლების ჩართულობა ჯერ კიდევ არ არის საკმარისად დაფარული მასწავლებლების მომზადების პროგრამებში, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისათვისაც კი.

„მისასალმებელი სივრცე მშობლებისთვის“ ÉCOLE PRIMAIRE LES GÉRANIUMS, LYON

„მისასალმებელი სივრცე მშობლებისათვის“ ამ სკოლაში 20 წელზე მეტია, რაც არსებობს. იგი სრულად ფინანსდება მუნიციპალიტეტისგან. ესაა ფიზიკური სივრცე, რომელიც ღიაა მშობლებისთვის სასკოლო საათების განმავლობაში. სოციალური მუშაკი სთავაზობს მათ აქტივობებს და ადგილზე იმყოფება კვირაში 8 საათის განმავლობაში, თუმცა მშობლებს მოსვლა ნებისმიერ დროს შეუძლიათ. სივრცე მშობლების მიერ დისკუსიების გასამართად, გამოცდილების მოსაგროვებლად და ერთმანეთის მხარდასაჭერად გამოიყენება. მშობლებს, ვისაც მცირეწლოვანი შვილები ჰყავთ, შეუძლიათ, გამოიყენონ სათამაშო კუთხე. ოთახში, ასევე, ხელმისაწვდომია წიგნები, სკოლის წესები და აქტივობები, აგრეთვე, რეგიონში არსებული კულტურული, სოციალური, სპორტული და გასართობი აქტივობების შესახებ ინფორმაცია.

სოციალური მუშაკის დახმარებით, ოთახი გამოიყენება სკოლაში არსებულ პრიორიტეტულ საკითხებზე საუბრებისთვის (მაგ. თუ როგორ მუშაობს სკოლა), ან მოწვეულ ექსპერტებთან შეხვედრების ორგანიზებისთვის (მაგ. სწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეების ასისტენტებთან, სოციალურ მუშაკებთან და სამედიცინო პერსონალთან). გარდა ამისა, შემუშავებულია რიგი აქტივობებისა, რომელთა მეშვეობითაც მშობლები სასკოლო ცხოვრებაში მეტად ერთვებიან, ასეთია: კულინარიული ვორკშოპები მომზადებული ნამცხვრების გაყიდვისა და სკოლის რაიმე აქტივობის დაფინანსების მიზნით; ჩანთების დამზადება მოსწავლეებისთვის, რომელთაც სკოლის ბიბლიოთეკიდან წიგნების გამოტანა სურთ (აქტივობა, რომელმაც საშუალება შექმნა, ამაღლებულიყო ცნობიერება კითხვის მნიშვნელობის შესახებ); თოჯინების თეატრი, რომელსაც მშობლები აორგანიზებენ და მართავენ სკოლის მოსწავლეებისთვის. დირექტორმა აღნიშნა, რომ მშობლებისთვის გამოყოფილმა „მისასალმებელმა სივრცემ“ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მშობლებსა და მასწავლებლებს შორის ურთიერთობას; მშობლები სკოლაში თავს მიღებულად გრძნობენ; ასევე, გრძნობენ, რომ ეს „მათი“ ადგილია. მშობლებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ ამგვარ შეხვედრებში, აღნიშნეს, რომ თავს აღიქვამენ, როგორც სკოლის რესურსს.

„მშობლების ინსტრუმენტების ნაკრები“ სენტ-ეგზიუპერის დაწყებითი სკოლა, ვილერბანი

„მშობლების ინსტრუმენტების ნაკრების“ ამოცანას მშობლებთან დიალოგის ხელშეწყობა წარმოადგენს და მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს, გააცნობიერონ მათი შვილების განათლებასთან დაკავშირებული გამოწვევები. ნაკრები საგანმანათლებლო ჯგუფებს სთავაზობს ინსტრუმენტების კომპლექტს მშობლებთან დისკუსიების ორგანიზებისა და გამარტივებისათვის. „მშობლების ინსტრუმენტების ნაკრები“ სხვადასხვა საფეხურზე გამოიყენება: დაწყებითი ან საბაზო საფეხურის მოსწავლეების შემთხვევაში, სწავლების პირველ წელს, ხოლო საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის – ბოლო წელს, რათა განიხილონ მათი კარიერული შესაძლებლობები. სენტ-ეგზიუპერის დაწყებით სკოლაში, ეს პედაგოგიური მასალები გამოიყენება, როგორც მხარდამჭერი საშუალება მშობლებთან საერთო შეხვედრების დროს. მშობლებს იწვევენ, დაესწრონ ერთ გაკვეთილს დამკვირვებლის როლში, რათა გაიაზრონ, როგორ მიმდინარეობს სწავლება და გაიგონ სკოლების „მოთხოვნები მოსწავლეების დამოკიდებულებების“ მიმართ კლასში. ამ ვიზიტის პერიოდი, მოსწავლეების ასაკიდან გამომდინარე, განსხვავდება; პირველი და მეორე კლასის მოსწავლეების შემთხვევაში, ვისაც რამდენიმე თვე სჭირდება ადაპტაციისთვის, დასწრება იანვარში ხდება. დასწრების სესიის შემდეგ, იმავე დღეს იმართება დისკუსიები მშობლებსა და მასწავლებელს შორის.

„სკოლა მშობლებისათვის“ ლუი პასტერის სკოლა, ლიონი

ეს დაწესებულება მშობლებს ფრანგული ენის გაკვეთილებს 2012 წლიდან სთავაზობს. კურსებს ენის სკოლა ატარებს, პროფესიონალი მასწავლებლების მეშვეობით, და ფინანსდება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ. ჯგუფები, ცოდნისა და ეროვნების თვალსაზრისით, არაერთგვაროვანია. მშობლების უმრავლესობას, კურსების დაწყებამდე, მასწავლებლებთან კომუნიკაცია არ შეეძლო და ბევრს თავად არ ჰქონდა საგანმანათლებლო გამოცდილება. ვინაიდან კურსი მოიცავს სასარგებლო ზოგად თემებს, როგორებიცაა განათლება საფრანგეთში, დოკუმენტები და ადმინისტრირება უცხოელებისათვის და ა. შ. მშობლებს ხელი შეეწყოთ, უკეთესად გაეაზრებინათ სკოლა, კავშირი დაემყარებინათ შვილებსა და მასწავლებლებთან და, ზოგადად, ინტეგრირებულიყვნენ საზოგადოებაში. გარემოება, რომ კურსი სკოლაში ტარდება, ძალიან სასარგებლოა მშობლებსა და მასწავლებლებს შორის დადებითი კავშირების დასამყარებლად. ასევე, ამაში წვლილი შეაქვს სკოლაში არსებულ მისასალმებელ სივრცეს მშობლებისთვის. მშობლებმა დაიწყეს შეხვედრებზე დასწრება. პერიოდულად პრობლემები ჩნდება დაფინანსების საკითხთან დაკავშირებით, რადგან ადგილობრივ ხელისუფლებას მუდმივი საბიუჯეტო ხაზი ამ მიზნობრიობით, არ გააჩნია.

პროგრამა „მშობლების ოკუპირებული“ ÉCOLE PRIMAIRE LES GÉRANIUMS დაწყებითი სკოლა, ლიონი

2011 წლიდან, შვილების განათლებაში ჩართულობისა და სკოლის ფუნქციონირების უკეთ გაგების მიზნით, მშობლებს იწვევენ, „დაესწრონ“ თავიანთი შვილების გაკვეთილებს. პირველი სემესტრის განმავლობაში, მშობლებს გაკვეთილებზე დასწრება დამკვირვებლების როლში 1.5 სთ-ს განმავლობაში (ერთდროულად, მაქსიმუმ, 2 მშობელი) შეუძლიათ. შემდეგ, შესვენების დროს, მათ საშუალება აქვთ, გაესაუბრონ მასწავლებელს. დირექტორი აღნიშნავს, რომ ამ ინიციატივას დიდი დადებითი ზეგავლენა ჰქონდა მშობლებზე (რომლებიც თავს გრძნობენ “მშვიდად“, როდესაც ხედავენ, რა ხდება კლასში და იღებენ იდეებს, როგორ დაეხმარონ ბავშვებს სახლში), მასწავლებლებზე (რომლებსაც, თავდაპირველად, გარკვეული წინააღმდეგობა ჰქონდათ ერთგვარი შიშის გამო – აღმოჩნდა, რომ მშობლები მათ მადლიერებით სავსე უკუკავშირს აძლევდნენ!) და მოსწავლეებზე (რომლებიც მეტად აქტიურები არიან კლასში, როდესაც მშობლები ესწრებიან). როგორც ჩანს, ინიციატივა ისეთი წარმატებული იყო, რომ იმავე რაიონში მდებარე სხვა სკოლებსაც გაუჩნდათ მისი დანერგვის სურვილი. დირექტორმა აღნიშნა, რომ ბევრი მშობელი განცვიფრებული იყო განხორციელებული აქტივობების მოცულობითა და ხარისხით, ასევე, კლასში არსებული მშვიდი ატმოსფეროთი.

საგაზო-საშუალო საფეხური

მისასალმებელი სივრცე მშობლებისთვის – მშობლების ოთახი ვ. ჟოლჩერის კოლეჯი, ლიონი

დაწყებით სკოლაში არსებული მისასალმებელი სივრცის მსგავსად, ამ კოლეჯშიც გამოიყო ადგილი მშობლებისათვის. პროექტს ფასილიტაციას უწევს სოციალური მუშაკი, რომლის საქმიანობასაც მუნიციპალიტეტი ანაზღაურებს. ოთახი ღიაა მშობლებისთვის, რომელთა შვილები სწავლობენ როგორც კოლეჯში, ასევე, მეზობლად მდებარე 5 დაწყებითი სკოლიდან ნებისმიერში. ასე უფრო მარტივია მშობლებისთვის, შემოუერთდნენ ამ სივრცეს, ვინაიდან დაწყებითი სკოლიდან მათ უკვე აქვთ მსგავს შეხვედრებზე დასწრების ჩვევა და გამოცდილება.

„მშობლების ოთახის“ მიერ განხორციელებული აქტივობები მოიცავს: ფრანგულის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და უცხო ენების (ხშირად ტარდება კოლეჯის მასწავლებლების მიერ, მოხალისეობრივ საფუძვლებზე) გაკვეთილებს; პირველადი დახმარების კურსებს; განხილვებსა და ვორკშოპებს სხვადასხვა საკითხზე, როგორიცაა მშობლობა, ჯანმრთელობა და ჯანსაღი კვება. მშობლები, ასევე, გამოსცემენ გაზეთს; ხანდახან მშობლებისა და მოსწავლეებისათვის საერთო პროექტები მუშავდება. მშობლები, რომლებიც სარგებლობენ ამ სივრცით, აღნიშნავენ, რომ დირექტორისა და მასწავლებლების კეთილგანწყობილი დამოკიდებულება წარმოადგენდა გადამწყვეტ ფაქტორს, რამაც დაარწმუნა ისინი, მონაწილეობა მიიღოთ სხვადასხვა აქტივობაში; ეს სივრცე ძალზე ღირებულია, რადგან ის მშობლებს სთავაზობს შესაძლებლობებს, ისწავლონ, შეხვდნენ მასწავლებლებს და მათთან არაფორმალური ურთიერთობა დაამყარონ. მშობლები სკოლაში თავს მიღებულად გრძნობენ, ხოლო მათი შვილები ამაყობენ, როდესაც მშობლებს ამ სივრცეში ხედავენ. შემოთავაზებული კურსების წყალობით, ბევრმა გადაწყვიტა, დაბრუნდებოდა ფორმალურ განათლებას და მიეღო კვალიფიკაცია. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ, ასევე, გაუმჯობესდა სასკოლო შედეგები და ატმოსფერო, რაც დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეების მოტივაციასა და თავდაჯერებაზე.

„MODACCES“ პროგრამა დროებით სკოლას განრიდებულ მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან კავშირის შენარჩუნების მიზნით

ვ. ჟოლჩერის კოლეჯი, ლიონი

MODACCES არის მექანიზმი, რომელიც მიემართება ცუდი ყოფაქცევის გამო სკოლას დროებით განრიდებულ მოსწავლეებს. სქემა ინიცირებული იყო სკოლებში მოკლევადიანი (ერთი კვირა) განრიდების მზარდი რაოდენობის დასაძლევად და შემუშავდა სამინისტროსა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან მჭიდრო თანამშრომლობით. იგი სრულიად ნებაყოფლობითია: როდესაც მოსწავლის დროებითი განრიდება გადაწყდება, იწვევენ მშობლებს და სთავაზობენ სქემას. მას სკოლა და ადგილობრივი სოციალური ცენტრები ერთობლივად ახორციელებენ: მოსწავლეები 3 დღეს ატარებენ სოციალურ ცენტრში, სადაც ისინი ხვდებიან მასწავლებლებსა (ორი საათით) და სოციალურ მუშაკებს, რომლებიც ეხმარებიან მათ, რეფლექსია მოახდინონ განრიდების მიზეზებზე და მოამზადონ მოსწავლეები კლასში რეინტეგრაციისთვის; საბოლოოდ, ისინი სკოლას პარასკევ დღეს უბრუნდებიან. სკოლის დირექტორი აღნიშნავს, რომ მშობლები მშვიდად გრძნობენ თავს MODACCES-ის წყალობით, რადგანაც სკოლას ჩამოშორებული მოსწავლეები დროს უსაქმურად არ ატარებენ; პროექტში ჩართული მასწავლებლები, ასევე, აღნიშნავენ, რომ ის გარემოება, რომ შეხვედრა სკოლის გარეთ ტარდება, ეხმარება ორივე მხარეს, როგორც ერთმანეთისადმი შეხედულებების შეცვლაში, ასევე, ნდობისა და პატივისცემის ჩამოყალიბებაში. ისინი, ასევე, აცხადებენ, რომ სქემას წვლილი შეაქვს სასკოლო კლიმატის გაუმჯობესებაში და მოსწავლეებს ეხმარება, დაფიქრდნენ განათლების არსზე.

პროგრამა წარმატებული / ვოჭინავე მოსწავლეებისათვის ჟოლიო-კიურის კოლეჯი, ბრონი

კოლეჯის მიერ შექმნილი ეს სპეციფიკური და რეგიონში უნიკალური პროგრამა მიმართულია მაღალი ინტელექტუალური პოტენციალის მქონე მოსწავლეებზე (როგორც ეს ფასდება ვექსლერის ინტელექტის ტესტით ბავშვებისათვის). პროგრამის დასაბუთება იმაში მდგომარეობს, რომ ბევრი წარმატებული, მაღალი აკადემიური შედეგების მოსწავლე ავლენს ქცევით სირთულეებს და შესაძლოა, მათ სკოლის ფობია განუვითარდეთ, მაშინ, როდესაც მათ მშობლებს წინა კლასებიდან გამომდინარე, შესაძლოა, რთული ურთიერთობების გამოცდილე-

ბა ჰქონდათ. ასეთი მოსწავლეები სხვა მოწინავე მოსწავლეებთან ერთად მონაწილეობენ სკოლისშემდგომ აქტივობებში და მათ რეგულარულად ეხმარებიან ტუტორები (სკოლის მასწავლებლებს შორის შეირჩევიან), რომლებიც ითვალისწინებენ მოსწავლეების სპეციფიკურ უნარებსა და საჭიროებებს. ინდივიდუალური ტუტორები, ასევე, მშობლებთან ამყარებენ მჭიდრო ურთიერთობებს, რათა აღადგინონ ნდობა სკოლისადმი და განიხილონ ნებისმიერი შემხვედრი პრობლემა და მიღწეული პროგრესი.

ICT-ს (ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების) გამოყენება მშობლებთან ჟოლიო-კიურის კოლეჯი, ბრონი

ყველა მშობელს აქვს შესაძლებლობა, მიიღოს ინფორმაცია სასკოლო აქტივობებისა და მათი შვილების განრიგის, ნიშნების, მასწავლებლების უკუკავშირისა და ა. შ. შესახებ სპეციალური პორტალის მეშვეობით. მეტიც, მასწავლებლების მიერ შექმნილია კითხვარი მშობლებისათვის, რათა მათ შეაფასონ, თუ როგორ შეიძლება სკოლაში გაუმჯობესდეს პირობები მშობლებისთვის. კითხვარზე წვდომის მიღება შესაძლებელია სკოლაში არსებული პლანშეტებისა (რომლებიც მშობლებსა და მასწავლებლებს შორის გამართულ შეხვედრებზე მიეწოდებათ) და სკოლის ვებგვერდის მეშვეობით. სმარტფონების მქონე მშობლებისთვის, შეხვედრების ოთახებში დამატებით, განთავსებულია ონლაინკითხვარის ფლეშკოდები, რითაც შესაძლებელია ონლაინკითხვარზე გადასვლა.

„ღია სკოლა“ ჟოლიო-კიურის კოლეჯი, ბრონი

საფრანგეთში „Ecole ouverte“ ანუ „ღია სკოლის“ პროგრამა ორგანიზებულია საბაზო საფეხურის სკოლებში, რომლებიც შედარებით დაბალი ეკონომიკური მაჩვენებლების მქონე დასახლებებშია განთავსებული. პროგრამის ფარგლებში, არდადეგების დროს, მოსწავლეებისათვის ორგანიზებულია კულტურული, გასართობი, სპორტული ან სხვა აქტივობები. ჟოლიო-კიურის კოლეჯში ყველა მშობელს შეუძლია „ღია სკოლის“ პროგრამაში ჩართვა. მათ შეუძლიათ, მონაწილეობა მიიღონ ამ აქტივობებში; მასწავლებლებთან ერთად, ხელმძღვანელობა გაუწიონ მოსწავლეებს, თან ახლდნენ ვიზიტებზე და ექსკურსიებზე ან/და ჩაერთონ ამ აქტივობების ორგანიზებაში.

პროფესიული ორიენტაცია ჟოლიო-კიურის კოლეჯი, ბრონი

საფრანგეთში საბაზო საფეხურის ბოლოს მშობლები ჩართული არიან შვილების პროფესიული ორიენტაციის აქტივობებში, თუმცა, საბოლოოდ, სკოლის დირექტორია პასუხისმგებელი ამ პერსპექტივების ვალიდაციაში. ჟოლიო-კიურის კოლეჯში დაინერგა სპეციალური პროგრამა „არჩეული კარიერა“, მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის ამ მიმართულებით ჩართულობის ხელშესაწყობად. ეს აქტივობა ეხება ყველა მშობელს, რომელთა შვილებიც საბაზო საფეხურის ბოლო წელს ასრულებენ (ასევე, გასული წელს აკადემიური ჩამორჩენის მქონე მოსწავლეების მშობლებს). სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებთან იმართება შეხვედრა კარიერულ გეგმებზე ფოკუსირებით. მთელი წლის განმავლობაში, მშობლების ინფორმირების მიზნით, კარიერული პერსპექტივების, პროფესიულ სასწავლებლებში ვიზიტებისა და ა. შ. შესახებ, რიგი აქტივობები და ვორკშოპები ეწყობა. ასევე, თითოეული მოსწავლისთვის მზადდება ინდივიდუალური საორიენტაციო გეგმა. ამ პროცესის შედეგად, ოჯახები მეტად მონაწილეობენ საგანმანათლებლო არჩევანში, მშობლებისთვის შეთავაზებულია პროფესიული მარშრუტი და ოჯახების არჩევანსა და სკოლების მხრიდან რეკომენდებულ ვარიანტს შორის შეუთანხმებლობის შემთხვევები მცირდება.

სკოლისა და მშობლების თანამშრომლობის მექანიზმების მოკლე მიმოხილვა ევროპის სხვა ქვეყნებში

ევროპის ზოგ ქვეყანაში მშობლების წარმომადგენლები ეროვნულ დონეზე არიან წარმოდგენილნი სხვადასხვა საკონსულტაციო საბჭოში (მაგ. ნორვეგია და ირლანდია), ანდაც, მშობლების ასოციაცია აღიარებულია, როგორც სოციალური პარტნიორი (მაგ. პორტუგალიაში).

თუმცა პრაქტიკაში, კულტურული და ინსტიტუციური ფაქტორებიდან გამომდინარე, მშობლების ჩართულობის სხვადასხვა ათვლის წერტილი და ხარისხი გვხვდება. მაგალითად, ირლანდიასა და ნორვეგიაში, საფრანგეთისგან განსხვავებით, განათლება ისტორიულად აღიქმება, როგორც მშობლებსა და სკოლას შორის გაზიარებული პასუხისმგებლობა. თუმცა, ნორვეგიაში, მაშინ როდესაც, მშობლებთან თანამშრომლობა კარგადაა განვითარებული და ფორმალიზებული სკოლის პირველ წლებში, მშობლების ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი სპეციფიკურ პრობლემას წარმოადგენს საშუალო საფეხურზე, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული სკოლის ადრეულ მიტოვებასთან.

მშობლების ჩართულობის ინტენსივობა და სკოლებთან სიახლოვის ხარისხი ყველა ქვეყანაში სხვადასხვაგვარია. ლუქსემბურგში მშობლების უმეტესობა სკოლაში მცირე დროს ატარებს („kiss&go“ მიდგომა), სასკოლო ცხოვრებაში მშობლების მეტად პროაქტიული ჩართულობა ფიქსირდება, მაგალითად, საბერძნეთში.

ზოგი ქვეყანა აღნიშნავს, რომ მშობელთა ჩართულობა სკოლებში არათანაბარია. ამ განსხვავებებს აკავშირებენ აგრეთვე, სკოლის ავტონომიურობის დონესთან: მაგალითისთვის, დიდ ბრიტანეთში, სადაც სკოლები ძალიან ავტონომიურები არიან, მშობლების ჩართულობა დიდადაა დამოკიდებული ცალკეულ სკოლებსა და სკოლის ხელმძღვანელებზე.

მნიშვნელოვანია, რომ ყველა ქვეყანაში მთავარ გამოწვევას წარმოადგენს გარემოება, რომ ჩართულობის დონე მშობლების კატეგორიების მიხედვით განსხვავდება. განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახებთან / მშობლებთან წვდომა.

ჩეხეთის რესპუბლიკა

- მშობლების როლი სკოლაში კანონითაა აღიარებული. მშობლები, მათი წარმომადგენლების მეშვეობით, მონაწილეობენ სკოლის საბჭოებში;
- მშობელთა და მასწავლებელთა შეხვედრები რეგულარულად ტარდება. ჩვეულებრივ, წელიწადში 4-ჯერ;
- თითოეული სკოლა მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის უზრუნველყოფს საკონსულტაციო მომსახურებას (განათლება, ქცევითი და კარიერული კონსულტაცია). სოციალურად არახელსაყრელ არეალში მდებარე სკოლებში სწავლების ასისტენტები (რომლებიც დაქირავებული არიან სკოლის დირექტორის მიერ) სოციალურად დაუცველ მოსწავლეებს ეხმარებიან ტრანზიციის პროცესში, მხარს უჭერენ, მოერგონ სასკოლო გარემოს, აქტიურად ახდენენ კომუნიკაციას მოსწავლეებთან, მათ ოჯახებთან და უფრო ფართო საზოგადოებასთან, ასევე, ეხმარებიან მასწავლებლებს საგანმანათლებლო აქტივობებში. დამატებით საშუალებას მიგრანტ მშობლებთან კომუნიკაციის გასაადვილებლად, ინტერკულტურული მედიატორები წარმოადგენენ.

ესტონეთი

- მშობლებთან კომუნიკაციასა და მათ ჩართულობას სამართლებრივი ჩარჩო არეგულირებს, თუმცა, უმეტესად, მშობლებთან თანამშრომლობა არაფორმალური არხებით მიმდინარეობს. მშობლებთან ინფორმაციის გასაზიარებლად ფართოდ გამოიყენება ელექტრონული დღიურები (e-diaries);
- მშობლებთან შეხვედრები წელიწადში, მინიმუმ, ერთხელ მაინც უნდა გაიმართოს. მშობლები ასევე, ოფიციალურად არიან წარმოდგენილი სამეურვეო საბჭოში. თუმცა საბაზო და საშუალო საფეხურებზე მშობელთა შეზღუდული ჩართულობა და სკოლის საბჭოებში მშობელთა წარმომადგენლობის კანდიდატების სიმწირე ძირითად პრობლემებს წარმოადგენს.

საბერძნეთი

- მშობლების ჩართულობის სამართლებრივი საფუძველი სხვადასხვა აქტით განისაზღვრება. დაწყებით, საბაზო და საშუალო სკოლებში (საჯარო თუ კერძო) მშობელთა ასოციაციების შექმნა სამართლებრივადაა სავალდებულო. მშობელთა ფედერაციები მოქმედებს რეგიონულ დონეზე, ხოლო მშობელთა კონფედერაცია – ეროვნულ დონეზე;
- პრაქტიკაში მშობელთა ჩართულობის ფორმები და ხარისხი სკოლის ავტონომიისა და სკოლის ლიდერების ინიციატივების მიხედვით განსხვავდება. მშობელთა ჩართულობა (მონაწილეობა აქტივობებში, რომლებიც ხელს უწყობს სწავლებას და მშობელთა ჩართვას სასწავლო პროცესებში) სკოლაში შეიძლება განხორციელდეს სკოლის ბიბლიოთეკების მეშვეობით და კულტურული მნიშვნელობის მქონე ადგილებში ექსკურსიების დროს. ასევე, ცალკეული ღონისძიებები მიმართულია სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისკენ, ხოლო უმცირესობის წარმომადგენელი ახალი მოსწავლეებისა და მათი მშობლების ინტეგრაციის ხელშესაწყობად სპეციალური კლასები არსებობს.

ირლანდია

- იქიდან გამომდინარე, რომ საგანმანათლებლო სისტემები კერძო მფარველებთან თანამშრომლობით მუშაობენ, ისტორიულად, მშობლებს განათლებაში ცენტრალური როლი უჭირავთ. მშობლების წარმომადგენლები არიან მმართველ კომიტეტებში (4 წლამდე ვადით) და სკოლის საბჭოებში. მშობლების ეროვნული საბჭო, რომელსაც მთავრობა აფინანსებს, ამზადებს მშობლებს თავიანთი როლისათვის საბჭოებში და აქტიურ როლს თამაშობს სასკოლო პოლიტიკის ფორმირებაში. მშობლებთან ინფორმაციის გაზიარებისათვის სხვადასხვა მექანიზმები გამოიყენება: შეხვედრები, წერილობითი და ონლაინღონისძიებები;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, სოციალურად დაუცველი ოჯახების სკოლების შემთხვევაში, პასუხისმგებელია იმ ოჯახებში ვიზიტსა და მშობლების გაძლიერებაზე, რომელთაც სკოლასთან ცუდი გამოცდილებები აკავშირებთ. ზოგი არასამთავრობო ორგანიზაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს მშობლებთან არსებული უფსკრულის ამოვსებაში (განსაკუთრებით, ისეთ მიზნობრივ ჯგუფებთან, როგორებიც არიან მიგრანტები, ბოშები და სხვ.), ისევე, როგორც, ზოგიერთი სპორტული ასოციაცია და გაერთიანება ჯანდაცვისა და ფსიქოსოციალურ თუ საბიბლიოთეკო სერვისებთან.

მალტა

- განათლების სფეროში მოსწავლეების, მშობლების, სახელმწიფოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების უფლებებსა და ვალდებულებებს კანონი განსაზღვრავს. მშობლები წარმოდგენილნი არიან სკოლის საბჭოებში;
- მრავალი ინიციატივა ისახავს მიზნად მშობლების გაძლიერებას და ბევრი პრაქტიკულ აქტივობაზე დაფუძნებული ასეთი პროგრამა უკვე არსებობს, მათ შორის, „Parents in Education Programme“, ოჯახების წიგნიერების პროგრამები, კლუბები და საშინაო დავალების კლუბები. სკოლის ადრეული მიტოვების წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის მიხედვით, სკოლაში მშობლების სტრუქტურული ინტეგრაციისთვის, საჭიროა მეტი ინიციატივა სხვადასხვა დაინტერესებული მხარეის მხრიდან. სტრატეგიული გეგმა „მშობელთა აღჭურვა და გაძლიერება“, რომელსაც სამინისტრო ხელმძღვანელობს, მოუწოდებს სკოლებს, ფორმალური განათლების ადრეული ეტაპიდან ჩართონ მშობლები, როგორც პარტნიორები და დაინახონ ისინი, როგორც ძირითადი დაინტერესებული მხარეები სკოლის ადრეული მიტოვების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ნორვეგია

- დაწყებით საფეხურზე მშობლების როლის მნიშვნელობა ოფიციალურადაა აღიარებული სხვადასხვა სტრუქტურის მეშვეობით. ყოველი მშობელი წარმოადგენს სკოლის მშობელთა საბჭოს წევრს, რომელიც ირჩევს სამუშაო კომიტეტს. მშობელთა წარმომადგენლები გვხვდებიან სკოლების საკოორდინაციო კომიტეტებში (უმაღლესი საკონსულტაციო ორგანო), სკოლის საბჭოსა თუ გარემოს კომიტეტში (საკონსულტაციო ორგანო, რომელიც მეთვალყურეობას უწევს, რომ სკოლა მუდმივად მუშაობს კარგი სასკოლო გარემოს განვითარებაზე). ლოკალურ დონეზე მშობელთა საბჭოები ქვეყანაში არსებულ 180 მუნიციპალიტეტში (430-დან) მოხალისეობრივადაა დაფუძნებული;
- მასწავლებლებსა და მშობლებს შორის ინფორმაციის გაცვლის მიზნით, სხვადასხვა სახის შეხვედრები იმართება. ეს მოიცავს მშობელთა შეკრებებს, ჯგუფში/კლასში მასწავლებლისა და ყველა მშობლის შეკრებასა და მოსწავლეების ინდივიდუალურ მიმოხილვას, რაშიც მათი მშობლები/მეურვეები და მასწავლებლები მონაწილეობენ (წელიწადში ორჯერ მაინც).

პორტუგალია

- მშობლების მონაწილეობა სკოლის სხვადასხვა დონეზე მხარდაჭერილია სამართლებრივად, კერძოდ, მშობლების სავალდებულო მონაწილეობის სახით, სკოლის მმართველ სტრუქტურებში (გენერალური საბჭო) და კლასის საბჭოებში, ისევე როგორც მშობელთა ასოციაციების დაარსებით, რომლებიც ირჩევენ წარმომადგენლებს. მშობლები ხშირად არიან ჩართული სასკოლო აქტივობებში, განსაკუთრებით, სწავლების პირველ წლებში (მაგ. დღესასწაულები, სასწავლო ვიზიტები, გაკვეთილის მსვლელობაში ხანმოკლე მონაწილეობა);
- მშობლები (ან მეურვეები) პერიოდულად იღებენ ინფორმაციას კლასის ხელმძღვანელისგან მათი შვილების შეფასების შესახებ. სპეციალური ზომების გასატარებლად, მშობლის თანხმობა აუცილებელია;

- პრობლემურ მშობლებთან დასაკავშირებლად, სკოლები სხვა სერვისების მრავალფეროვან სპექტრთან თანამშრომლობენ (სოციალური და ჯანდაცვის სერვისები). აკადემიური ჩამორჩენის ან/და სკოლის ნაადრევად მიტოვების რისკების დასაძლევად, ოჯახების ჩართულობის გაზრდა TIEP-ის პროგრამაში (პრიორიტეტული ინტერვენციის საგანმანათლებლო სფეროები) ჩართული სკოლების (ეს სკოლები სოციალურად და ეკონომიკურად არახელსაყრელ რაიონებში მდებარეობენ, სადაც ეთნიკური უმცირესობების, მიგრანტების და სხვა ჯგუფების წარმომადგენელი უამრავი ბავშვია) მიერ შედგენილი გეგმის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს. მულტიდისციპლინურ ჯგუფებს – მასწავლებლებს, ფსიქოლოგებს, სოციალურ მუშაკებს – წვლილი შეაქვთ მშობლებისა და საზოგადოებისადმი უფრო მეტად ჰოლისტური/სისტემატური მიდგომის შემუშავებაში;
- ოჯახებთან მუშაობა სწავლის მიტოვების, ასევე, სოციალური გარიყვის რისკის მქონე ახალგაზრდების პროგრამის – PIEF-ის (განათლებისა და სწავლების ინტეგრირებული პროგრამა) საკვანძო კომპონენტს წარმოადგენს. თითოეული მოსწავლე და ოჯახი ხელს აწერს კონტრაქტს, რათა აიღონ პასუხისმგებლობა და საკუთარი თავი პროცესში ჩართონ. ადგილობრივი ინტერვენციის ტექნიკოსი – სოციალური მუშაკი ან ფსიქოლოგი – მონიტორინგს უწევს მოსწავლეს, რომელიც PIEF-ის პროგრამაშია, ინდივიდუალურ და ოჯახის დონეზე. ანალოგიურად, სახელმწიფო პროგრამა Escolhas-ის ფარგლებში, რომლის მისიაა სოციალურად და ეკონომიკურად არახელსაყრელი პირობების მქონე, მათ შორის, უმცირესობებისა და იმიგრანტების, ბავშვებისა და ახალგაზრდების, სოციალური ინკლუზიის წახალისება, ადგილობრივი პროექტები მჭიდროდ მუშაობენ მშობლებთან, რათა ჩართონ ისინი შვილების სასკოლო განათლებაში.

ლუქსემბურგი

- მშობელთა ჩართულობა რეგულირებულია სკოლის, მუნიციპალიტეტისა (სკოლის კომისიები) და ეროვნულ დონეზე – ეროვნული სკოლის კომისიის მეშვეობით;
- სასწავლო წლის დასაწყისში ყოველი მასწავლებელი უნდა შეხვდეს მშობლებს საერთო შეხვედრაზე. მშობლების/მასწავლებლების შეხვედრების სიხშირე განსხვავდება: დაწყებით საფეხურზე ასეთი შეხვედრები წელიწადში ორჯერ იმართება (როდესაც სკოლის ანგარიში დგება), თუმცა საბაზო და საშუალო საფეხურებზე ეს სხვადასხვანაირად ხდება;
- ყველა საბაზო/საშუალო სკოლაში, ფსიქოსოციალური სერვისები (SPOS) მოიცავს ფსიქოლოგს, სოციალურ მუშაკსა და სოციალურ პედაგოგს, რომლებიც, დახმარების საჭიროების შემთხვევაში, ეკონტაქტებიან მშობლებს და განსაკუთრებულ შემთხვევებში თანამშრომლობენ დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრთან (არასამთავრობო ორგანიზაციების ჩათვლით), რათა სრულფასოვანი მხარდაჭერა გაუწიონ სოციალურად დაუცველ ოჯახებს.

ესპანეთი

- თითოეულ რეგიონს შეუძლია, მოირგოს არსებული ეროვნული ჩარჩო, რომელიც მშობლების სკოლაში ჩართულობას არეგულირებს. მშობლებს განათლებაში აღიარებული მნიშვნელოვანი როლი აქვთ და მონაწილეობენ სკოლების საბჭოებში. არსებობს რეგულაციები მშობელთა ფედერაციების შესახებ. მშობლები რეგულარულად იღებენ ინფორმაციას მათი შვილების საქმიანობის შესახებ და როდესაც სპეციალური ზომები უნდა იქნეს შემოღებული მათი შვილებისთვის, მშობლების ინფორმირება აუცილებელია;

- ახალი კანონი განათლების შესახებ (LOMCE) ხაზს უსვამს განსხვავებულობისადმი ყურადღების საჭიროებას მშობლების ჩართულობის ხელშეწყობისათვის. უამრავი ინსტიტუტი თამაშობს სკოლასა და ცალკეული სამიზნე ჯგუფების წარმომადგენელ მშობლებს შორის მედიატორის როლს ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე. მაგალითად ONCE (უსინათლო ადამიანების ეროვნული ორგანიზაცია) მხარდაჭერას სთავაზობს უსინათლო მოსწავლეებს, ისევე, როგორც მათ მასწავლებლებსა და მშობლებს. FIAPAS (ესპანეთის ყრუ ოჯახების კონფედერაცია) ყრუ ადამიანებსა და მათ მშობლებს ეხმარება; ამ ადამიანებსა და მათ ოჯახებს მხარდაჭერას CERMI-ც სთავაზობს (ესპანეთის წარმომადგენელთა კომიტეტი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის).

დიდი ბრიტანეთი

- დიდ ბრიტანეთში მშობლების ჩართულობა ცალკეულ სკოლებსა და სკოლების ხელმძღვანელებზეა დამოკიდებული. ზოგიერთი ტიპის სკოლები (2010 წელს წარმოდგენილი „თავისუფალი სკოლები“), ჩვეულებრივ, რელიგიური დაწესებულებები, შესაძლოა, ინიცირებული იყოს მშობლების ჯგუფების მხრიდან, სახელმწიფო დაფინანსებით;
- მთლიანობაში, სკოლებში მშობელთა ჩართულობის ისეთი საყოველთაო ფორმები არსებობს, როგორებიცაა მშობელთა საღამოები/შეხვედრები, წლიური ანგარიშები ბავშვების პროგრესის შესახებ და მშობლების წარმომადგენლობა სკოლის საბჭოებში და/ან მშობელთა საბჭოებში (ორგანო, რომელიც წარმოადგენს მშობლებს და მათ საშუალებას აძლევს, საკუთარი შეხედულებები კლასის ხელმძღვანელსა და სკოლების მმართველ ორგანოს წარუდგინონ). მშობლებს აქვთ სამართლებრივი ვალდებულება, უზრუნველყონ სავალდებულო სასკოლო ასაკის მქონე შვილების სკოლებში რეგისტრაცია და რეგულარული დასწრება. იმ მშობლის წინააღმდეგ, რომლის შვილიც სკოლას საპატიო მიზეზის გარეშე აცდენს, ადგილობრივ საბჭოებსა და სკოლებს სხვადასხვა სამართლებრივი უფლებამოსილების გამოყენება შეუძლიათ;
- როდესაც სკოლა ეროვნული ინსპექციის – OFSTED-ის მეშვეობით მოწმდება, ინსპექტირებისა და მისი შედეგების შესახებ თითოეული მოსწავლის მშობელი უნდა იყოს ინფორმირებული. თუ მშობელი სკოლის მიმართ საჩივარს გამოთქვამს, OFSTED სამართლებრივად უფლებამოსილია, შეისწავლოს საჩივრები. OFSTED-ს აქვს ონლაინსივრცე – „მშობლის მოსაზრება“, რომელიც მშობლებს საშუალებას აძლევს, გამოთქვან შეხედულებები თავიანთი შვილების სკოლის შესახებ, სასწავლო წლის ნებისმიერ დროს.

მშობლის სამართლებრივი გარანტიები და მათი აღსრულების მექანიზმები საჯარო სკოლის მმართველობით პროცესებში

დენის წურწუმია

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის შიდა აუდიტის სამმართველოს უფროსი, განათლების სამართლის მკვლევარი

„განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თავდაპირველი რედაქცია (1997 წელი), მოსწავლის მშობლის კანონიერი უფლებების დაცვისა და პასუხიმგებლობის განსაზღვრის მიზნით, იყენებდა სახელშეკრულებო ურთიერთობის ინსტიტუტს. ხელშეკრულება სავალდებულოდ განსაზღვრავდა სკოლის მიერ გასაწევი საგანმანათლებლო მომსახურებისა და მოსწავლის შრომითი საქმიანობის პირობებს (ე.წ. შაბათობა და სხვ.), ასევე, რაც მნიშვნელოვანია, პასუხისმგებლობას, რომელიც დაეკისრებოდა საგანმანათლებლო დაწესებულებას, მოსწავლეს ან მშობელს პირობებისა და რეგულაციების დარღვევისთვის (მათ შორის, მიყენებული ზიანის ანაზღაურება).

მოქმედი კანონმდებლობა უფლებებისა და გარანტიების ფართო სპექტრს უზრუნველყოფს მშობლისთვის (იგულისხმება როგორც უშუალოდ მშობელი, ისე კანონიერი წარმომადგენელი) და ეს გულისხმობს მონაწილეობას როგორც მარეგულირებელი აქტების მიღების, აღსრულებისა და მონიტორინგის პროცესში, ასევე, დისციპლინასთან და მმართველობით ფუნქციებთან დაკავშირებულ მიმართულებებში. მშობლის უფლებების აბსოლუტური უმრავლესობის რეალიზება ხორციელდება ცალკეულ სასკოლო ინსტიტუციებში წარმომადგენლობითი სტატუსით, შესაბამისად, ამ უფლებებს შევეხებით შესაბამისი სუბიექტების მასშტაბით:

საარჩევნო უფლება – ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით, მოსწავლის მშობელი აღჭურვილია როგორც პასიური, ისე აქტიური საარჩევნო უფლებით. სკოლის გადაწყვეტილებების ფორმირების პროცესში ჩარევის მექანიზმების თვალსაზრისით, არსებითად შესაძლოა ჩაითვალოს სკოლის თვითმმართველობის უმაღლესი არჩევითი ორგანოს წევრად არჩევის უფლება. კანონმდებლობა მშობელს სრულად უზრუნველყოფს საარჩევნო პროცესისათვის დამახასიათებელი მექანიზმებით, როგორებიცაა კანდიდატზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და წინასაარჩევნო აგიტაცია. ამასთან, სკოლის დირექტორს უფლება არ აქვს, უარი უთხრას კანდიდატებს ან მათ მხარდამჭერებს წინასაარჩევნო კამპანიისა და აგიტაციისათვის საკლასო

ოთახით, დარბაზებით და/ან სკოლის სხვა ქონებით სარგებლობაზე. სამეურვეო საბჭოსთან ერთად, მშობელს (წარმომადგენლობის ფორმით) მინიჭებული აქვს სკოლის პედაგოგიური საბჭოსა და სკოლის დისციპლინური კომიტეტის წევრობის უფლება.

საკადრო გადაწყვეტილებები—პირველ რიგში, აღნიშნული უფლების რეალიზება დაკავშირებულია სკოლის დირექტორის თანამდებობასთან. როგორც ცნობილია, სკოლის დირექტორის თანამდებობა არჩევითია და, ამ მიმართულებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფუნქციები არსებითად შეზღუდულია, დადგენილ მოთხოვნებთან კანდიდატის შესაბამისობის განსაზღვრით. უშუალოდ პირის დირექტორად განწესების უფლებამოსილება აქვს სკოლის სამეურვეო საბჭოს, სადაც მშობლების წარმომადგენლობას ახორციელებს არჩეული მშობელი. გარდა არჩევისა, მშობლის უფლებამოსილება გულისხმობს, ასევე, დირექტორის გათავისუფლების პროცესში მონაწილეობის მიღებას, იმ შემთხვევაში, თუ სკოლის დირექტორი დაარღვევს შრომითი ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. საინტერესოა ის გარემოება, რომ დირექტორის მიერ შვებულებით სარგებლობასაც სამეურვეო საბჭოს თანხმობა სჭირდება (შვებულებიდან გამოძახება სამინისტროს პრერეროგატივაა).

ამავე კატეგორიაში შედის მშობლის (სამეურვეო საბჭოს წევრი) უფლებამოსილება, მოსთხოვოს სკოლის დირექტორს, ვადამდე შეუწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება მასწავლებელს, ხელშეკრულების პირობების დარღვევის, სააღმზრდელო საქმიანობისთვის შეუფერებელი ქმედების ჩადენის ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არაკვალიფიციურობის დადასტურების შემთხვევაში. აღნიშნული უფლების რეალიზება წარმოადგენს მოსწავლისთვის ხარისხიანი და სამართლიანი საგანმანათლებლო გარემოს შექმნის/შენარჩუნების ეფექტურ მექანიზმს. ასევე, სკოლაში პირთა დასაქმების პროცესის გამჭვირვალობისა და დირექციის შესაძლო პირადი ინტერესების კონტროლის მექანიზმს წარმოადგენს (სამეურვეო საბჭოს ნაწილში) სავალდებულო თანხმობა იმ შემთხვევაში, თუ სკოლის დირექტორი გამოხატავს მის ახლო ნათესავთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმების სურვილს. კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, კონკრეტულად რა მასშტაბით ხდება გადაწყვეტილების განხილვა, თუმცა სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული, ხოლო დასაბუთება გულისხმობს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების დეტალურ შესწავლას და იმ ფაქტების გამოვლენას, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს სამეურვეო საბჭოს ცალკეული წევრების გადაწყვეტილებებზე. შესაბამისად, წარმომადგენელ მშობელს შეუძლია, დასვას კითხვები იმის თაობაზე, თუ რამდენად აუცილებელია კონკრეტულ პირთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება სკოლისთვის, მიიღო თუ არა სკოლამ ადეკვატური ზომები სხვა კადრის მოსაძიებლად, აქვს თუ არა კანდიდატს შესაბამისი კომპეტენცია და ა.შ. აღნიშნული წარმოადგენს მშობლის უფლებამოსილებას, თუმცა მისგან გამომდინარეობს უფლებრივი შეზღუდვაც, კერძოდ, სამეურვეო საბჭოს წევრი მშობელი ან მისი ახლო ნათესავი არ შეიძლება იყოს საჯარო სკოლის მიერ დადებული გარიგების მხარე (გამონაკლისია შრომითი ხელშეკრულება).

სასკოლო დისციპლინა—პოზიტიური სასკოლო გარემოს შენარჩუნების, მოსწავლეებისთვის ხარისხიანი და უსაფრთხო სასკოლო დროის ორგანიზების ეფექტიან მექანიზმად შეიძლება ჩაითვალოს, ასევე, მისი ჩართულობა როგორც სასწავლო დისციპლინის კონტროლის სუბიექტების ფორმირების, ისე უშუალოდ დისციპლინის შენარჩუნების აქტივობებში. პირველ ნაწილში აღსანიშნავია მშობლის უფლება, სამეურვეო საბჭოს ფარგლებში, დისციპლინური გადაცდომების განხილვის მიზნით, შექმნას დისციპლინური კომიტეტი. ამასთან, რადგან

კომიტეტის შემადგენლობაში სავალდებულო წესით შედიან თანაბარი რაოდენობის მასწავლებელი, საშუალო საფეხურის მოსწავლე და მშობელი, მშობელი უშუალოდაც არის ჩართული დისციპლინური გადაცდომების განხილვასა და გადაწყვეტილებების მიღებაში. გარდა ამისა, სამეურვეო საბჭოს ფარგლებში საქმიანობისას, მშობელი უფლებამოსილია დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილებების შესახებ საჩივრების განხილვაში თავად მიიღოს მონაწილეობა ან შექმნას სააპელაციო კომიტეტი. სამეურვეო საბჭო განიხილავს აგრეთვე საჩივრებს, რომლებიც ეხება დირექტორის მიერ დისციპლინურ გადაცდომებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს. ამდენად, დისციპლინური წარმოების უფლებამოსილება ვრცელდება როგორც მოსწავლეზე, ისე სკოლაში დასაქმებულ პირზე. მნიშვნელოვანია, რომ დისციპლინური დევნის ქვეშ ექცევა ისეთ გადაცდომები, როგორებიცაა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევა, შინაგანაწესის ან/და წესდების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება, სასკოლო დროს/სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების წესების დარღვევა და სხვ.

ფინანსების მართვა / კონტროლი – სკოლის მმართველობით პროცესებში ჩარევის ეფექტიან მექანიზმს წარმოადგენს, ასევე, მშობლის წვდომა ფინანსურ დოკუმენტაციასთან და მონაწილეობა შესაბამის გადაწყვეტილებებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლის ბიუჯეტის დამტკიცების უფლებამოსილება. აღნიშნულ ეტაპზე მშობელი, როგორც სამეურვეო საბჭოს წევრი, უფლებამოსილია, მიიღოს რწმუნება, რადგან ფასდება აღნიშნული დოკუმენტის გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების, დამოუკიდებლობის, ერთიანობისა და უნივერსალობის პრინციპებთან შესაბამისობა (სასკოლო ბიუჯეტის ფარგლებში). იგივე ფორმით უნდა შეთანხმდეს ცვლილებები დოკუმენტში. ბიუჯეტის დამტკიცებასთან ერთად, დირექტორმა, ასევე, უნდა წარადგინოს წლიური ანგარიში და ის სავალდებულო წესით უნდა მოიცავდეს ინფორმაციას სკოლის არამხოლოდ ფინანსური საქმიანობის, არამედ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. დამტკიცება/ანგარიშის მექანიზმი სრულად უზრუნველყოფს იმას, რომ სკოლის ადმინისტრაციის მიერ ხარჯები გაწეულ იქნეს მხოლოდ სკოლის კანონისმიერი მიზნების მისაღწევად, როგორც დაგეგმვის, ისე განხორციელების ნაწილში და ამ ვალდებულების შეუსრულებლობა შესაძლოა გახდეს არამხოლოდ სკოლისთვის წერილობითი გაფრთხილების მიცემის, არამედ დირექტორის პასუხისმგებლობის საფუძველი. სამეურვეო საბჭოს მეშვეობით, მშობელი ასევე მონაწილეობს სკოლის სახელით გასაფორმებელი სხვადასხვა გარიგების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თუმცა კანონმდებელმა განსაზღვრა მასშტაბი, რომლის ფარგლებში ამგვარი ჩარევა მიზანშეწონილია და ხელს არ შეუშლის სკოლის დირექტორს ყოველდღიურ საოპერაციო საქმიანობაში. კერძოდ, სამეურვეო საბჭოს თანხმობა სავალდებულოა მხოლოდ იმ გარიგებების დასადებად, რომელთა ღირებულება აღემატება სკოლის ბიუჯეტის 5%-ს.

სასკოლო აქტების მიღება / შეთანხმება – კიდევ ერთი მექანიზმი, რომლითაც მოსწავლის მშობელი (წარმომადგენელი) მონაწილეობს სკოლის საქმიანობაში, არის მარეგულირებელი აქტების მიღება/შეთანხმება და აღნიშნული სრულყოფს ერთიან წრეს – კადრები, რეგულაციები, მონიტორინგი, რეაგირება. აღნიშნული, პირველ რიგში, მოიცავს სკოლის შინაგანაწესის დამტკიცებას და სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებაზე სავალდებულო თანხმობის გაცემას. ერთი დოკუმენტი აწესრიგებს სასკოლო ცხოვრებაში ჩართული მხარეების ყოველდღიურ საქმიანობას, უფლებებს, გარანტიებსა და პასუხისმგებლობებს, ხოლო მეორე - სასწავლო პროცესის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილებს (მაგ. სასკოლო საათობრივი ბადე, გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების, დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი/აღწერილობა). იმავე მექანიზმით, მშობელს უფლება აქვს, გასცეს თანხმობა სკოლის წესდების პროექტზე, თუმცა აღნიშნული ნაკლებად გვხვდება პრაქტიკაში და სკოლები, ძირითადად, ეყრდნობიან საქართველოს განათლებისა მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ საჯარო სკოლის წესდებას.

» სკოლას უფლება აქვს, დაადგინოს მშობლის უფლებებისა და თავისუფლებების არადისკრიმინაციული და ნეიტრალური შეზღუდვის წესები, თუ არსებობს საფუძვლიანი და გარდაუვალი საფრთხე: ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და საკუთრების უსაფრთხოებისა, სასწავლო პროცესის მსვლელობის, სკოლის საქმიანობის ან სკოლის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილებისათვის ხელის შეშლისა.

სკოლას უფლება აქვს, დაადგინოს მშობლის უფლებებისა და თავისუფლებების არადისკრიმინაციული და ნეიტრალური შეზღუდვის წესები, თუ არსებობს საფუძვლიანი და გარდაუვალი საფრთხე: ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და საკუთრების უსაფრთხოებისა, სასწავლო პროცესის მსვლელობის, სკოლის საქმიანობის ან სკოლის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილებისათვის ხელის შეშლისა. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების გარდაუვლობის დასაბუთების ტვირთი ცალსახად სკოლის ადმინისტრაციას ეკისრება.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ მოქმედი კანონმდებლობა მოსწავლის მშობელს უზრუნველყოფს მრავალი უფლებითა და გარანტიით, ასევე, მათი აღსრულების ეფექტიანი მექანიზმებით, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ამის შესახებ მშობლებს ჰქონდეთ ამომწურავი ინფორმაცია. ამ მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც სკოლის საინფორმაციო საშუალებები, ისე პირადი შეხვედრები სკოლის დირექციისა და თანამშრომლების მხრიდან. აღნიშნული ხელს შეუწყობს საჯარო სკოლის ფინანსების მართვის პროცესის მეტ გამჭვირვალობას, დირექციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მონიტორინგსა და მათი ქცევის კორექციას, მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

ხელშეკრულება სკოლასა და მოსწავლის მშობელს შორის, როგორც მხარეთა პასუხისმგებლობის მექანიზმი

ნატა ვაჭარაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აუდიტორი, განათლების გართვის კონსულტანტი

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა; მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, ასევე, აუცილებელი ცოდნის მიცემა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, სახელმწიფო ქმნის შესაბამის პირობებს, თუმცა, საბოლოო მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობა.

უნდა აღინიშნოს, რომ რაც უფრო ვითარდება განათლების სისტემა, მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება მშობლის როლი სასწავლო პროცესში. პირველ რიგში, მშობლებისთვის აუცილებელია, ნათელი გახდეს ის საკანონმდებლო რეგულაციები, რაც სკოლის მმართველობის პროცესში გამოიყენება. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში, მშობლების სასკოლო ცხოვრებაში მეტად ჩართულობის დამატებითი მექანიზმის უზრუნველყოფის მიზნით, 2018 წელს დაემატა მუხლი, რომელიც განსაზღვრავს სკოლასა და მშობელს შორის ხელშეკრულების გაფორმების ვალდებულებას. ხელშეკრულებაში განმარტებულია როგორც სკოლის პერსონალის, ისე მშობლის უფლება-მოვალეობები. სკოლებისა და ბავშვის მშობლებს შორის ურთიერთობის სპეციფიკა, ძირითადად, რეგულირდება კანონით, სკოლის შინაგანაწესისა და ხელშეკრულების მეშვეობით.

ბავშვის სასკოლო ცხოვრებაში მშობლის როლის გაძლიერების მიზნით, ხელშეკრულებაში არსებულ ტერმინებს, როგორებიცაა თანასწორუფლებიანობა და თავისუფალი ნება, აქვს მნიშვნელოვანი დატვირთვა. თანასწორუფლებიანობა, საკანონმდებლო ნორმებისაგან დამოუკიდებლად, შეგვიძლია განვიხილოთ მხარეების, როგორც შესაძლებლობების თანაბარი ხელმისაწვდომობა, როდესაც მშობელი თვლის, რომ შვილის სასკოლო ცხოვრებაში შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ჰქონდეს და მისი შესაძლებლობები არსებითად პოზიტიურ გავლენას ახდენს შვილის მომავალზე.

საინტერესოა საერთაშორისო პრაქტიკის განხილვა, სკოლის ადმინისტრაციასა და მოსწავლის მშობელს შორის ოფიციალური შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით. ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანაში არსებობს მკაფიო საჯარო პოლიტიკა მშობლების ინდივიდუალური/კოლექტიური

> „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში, მოზრდილების სასკოლო ცხოვრებაში მეტად ჩართულობის დამატებითი მექანიზმის უზრუნველყოფის მიზნით, 2018 წელს დაემატა მუხლი, რომელიც განსაზღვრავს სკოლასა და მოზრდილს შორის ხელშეკრულების გაფორმების ვალდებულებას.

» მიუხედავად იმისა, რომ მშობლისა და სკოლის ძირითადი უფლებები და ვალდებულებები გაწერილია სხვადასხვა აქტში, ხელშეკრულება მაინც წარმოადგენს მშობლის მხრიდან თავისი როლის სამართლებრივი საფუძვლის სრულყოფილად აღქმის უმნიშვნელოვანეს მექანიზმს.

უფლებებისა და ვალდებულებების და, ასევე, სასწავლო პროცესში მათი მონაწილეობის შესახებ (მაგალითად, სასწავლო გეგმები და სწავლების მეთოდები, განრიგი, საგანმანათლებლო საპილოტე სქემები და ა.შ.). თუმცა, რა თქმა უნდა, მშობლების ჩართულობა ბავშვის სასკოლო ცხოვრებაში განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით.

ძირითადი მსგავსება, რაც ახასიათებს ევროკავშირის ქვეყნებში არსებულ ხელშეკრულებას, არის მხარეები – ერთი მხრივ, მშობელი, მეურვე ან სხვა უფლებამოსილი პირი/ინსტიტუცია (პასუხისმგებელი მოსწავლის აღზრდაზე) და, მეორე მხრივ, სკოლის ადმინისტრაცია. ხელშეკრულება არეგულირებს მშობლისა და სკოლის ურთიერთობის თავისებურებებს საგანმანათლებლო პროცესებზე და განსაზღვრავს მხარეების ორმხრივი ვალდებულებებს. ხელშეკრულების მიხედვით, სკოლის საქმიანობა ეფუძნება მოსწავლეებთან და მშობლებთან თანამშრომლობას. სასკოლო პროცესის უკეთ მიმდინარეობისათვის, შექმნილია ქცევის წესები და კოდექსები, რომელთა დაცვაც აუცილებელია აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით. ასევე, გაწერილია სასწავლო გეგმის განხორციელების ოპტიმალური მექანიზმები, მშობლების ვალდებულება, წაახალისონ შვილები და სრულად დაიცვან შეთანხმებული პირობები. აუცილებელია, რომ მშობლებს ჰქონდეთ ამომწურავი ინფორმაცია თავიანთი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ, რომლის მიწოდებაც სკოლის ვალდებულებაა.

გაერთიანებული სამეფოს შემთხვევაში, მშობლის ვალდებულება – მოსწავლის სასწავლო პროცესზე დასწრება, უზრუნველყოფილია სკოლის მიერ. ასევე, განათლების დეპარტამენტის მიერ გამოცემული გაიდლაინით (2015 წელი), იმ შემთხვევაში, თუ მშობელი არ უზრუნველყოფს მოსწავლის სკოლაში გამოცხადებას, გამოიცემა სპეციალური განკარგულება, ხოლო თუ აღნიშნულს აქვს სისტემატური ხასიათი და არ ხდება სკოლის ინფორმირება, შესაძლებელია მოხდეს სანქცირება სხვადასხვა ფორმით. ამასთან, სკოლაში გამოცხადების უზრუნველყოფა გულისხმობს როგორც მშობლის მიერ მოსწავლის სკოლაში ფიზიკურად მიყვანის ვალდებულებას, ისე მის დარწმუნებას, დაესწროს გაკვეთილებს, თუ მოსწავლეს თავად არ აქვს ამის სურვილი. სხვა ქვეყნების პრაქტიკისაგან განსხვავებით, გაერთიანებული სამეფოს შემთხვევაში, ხელშეკრულების მხარე შესაძლოა იყოს არამხოლოდ სკოლის ადმინისტრაცია, არამედ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანო. გარდა ამისა, საქართველოს პრაქტიკისაგან განსხვავებით, ხელშეკრულების გაფორმება ნებაყოფლობითია, თუმცა, ვალდებულებების შეუსრულებლობისას, არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან.

წერილობითი შეთანხმების პრაქტიკა გამოიყენება ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, უმეტესად, კერძო სკოლებში და

არეგულირებს როგორც საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებულ გარანტიებს, ისე ქონებრივ საკითხებს. მაგალითად, სკოლების ნაწილი იხსნის პასუხისმგებლობას ნებისმიერ ქონებრივ ზიანზე, რაც მიადგება მოსწავლის მიერ სახლიდან სკოლაში წაღებულ ნივთს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამ ნივთს კონკრეტულ მომენტში ფლობს სკოლის ადმინისტრაცია. აღსანიშნავია, მოსწავლის ჩართულობა სხვადასხვა ფიზიკური ზიანის მიღების რისკის მქონე აქტივობებში (მაგალითად, სპორტული წრეები). საქართველოში მსგავს წრეებში ჩართულობა დასაშვებია მხოლოდ მშობლის წინასწარი თანხმობით, ხოლო, აშშ-ის ცალკეული სკოლების ხელშეკრულებებში მითითებულია, რომ თუ მშობელმა წინასწარ არ გამოხატა უარი მოსწავლის ჩართულობაზე, იგულისხმება, რომ მოსწავლეს ეს თანხმობა აქვს. ასევე, ხელშეკრულებით მშობელი ადასტურებს, რომ რაიმე გადამდები დაავადებების დროს სკოლა არ იღებს პასუხისმგებლობას, თუ მიღებული ჰქონდა გონივრული და შესაბამისი ზომები. მშობელი, ასევე, იღებს ვალდებულებას, გაეცნოს სკოლის ყველა შიდა მარეგულირებელ აქტს. ცალკეულ შემთხვევებში, მშობლები იღებენ ვალდებულებას, სახლში მოსწავლის კვება (მათ შორის, ტკბილეული) უზრუნველყონ სკოლის მიერ განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად (მაგალითად, არაბთა გაერთიანებული საამიროები), რადგან სკოლა ინაწილებს პასუხისმგებლობას მოსწავლის ჯანმრთელობაზე. მეტიც, სკოლა უფლებამოსილია, მოახდინოს მოსწავლის საკვებისა და სასმელის კონფისკაცია, თუ ის მავნეა მოსწავლის ჯანმრთელობისთვის. ასევე, მშობელი პასუხისმგებელია მოსწავლის ცოდნაზე საგზაო უსაფრთხოების წესებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია აზერბაიჯანის რესპუბლიკის საჯარო სკოლების მიდგომა მშობლის პასუხისმგებლობის ნაწილში, რაც გარდა სტანდარტული ხელშეკრულებისა, გულისხმობს ცალკე შეთანხმების ხელმოწერას მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობის დროს. მაგალითად, პანდემიის პერიოდში, იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე არ ივლიდა სკოლაში დამატებითი დოკუმენტით, მშობელი იღებდა ვალდებულებას, რომ მოსწავლე აუცილებლად დაესწრებოდა ონლაინგაკვეთილს, ასევე უყურებდა ტელეგაკვეთილებს, დროულად შეასრულებდა საშინაო დავალებას.

მიუხედავად იმისა, რომ მშობლისა და სკოლის ძირითადი უფლებები და ვალდებულებები გაწერილია სხვადასხვა აქტში, ხელშეკრულება მაინც წარმოადგენს მშობლის მხრიდან თავისი როლის სამართლებრივი საფუძვლის სრულყოფილად აღქმის უმნიშვნელოვანეს მექანიზმს. ჩატარებულმა კვლევამ (არასამთავრობო ორგანიზაცია „მშობლები განათლებისთვის“) აჩვენა, რომ მშობლების უმრავლესობა ყურადღებით არ ეცნობა და ინტერესდება საკუთარი უფლებებით. გამოკითხულთა ნაწილს არ ახსოვს, გაფორმებული აქვს თუ არა სკოლასთან ხელშეკრულება და არა წერია მასში. აღნიშნული მონაცემი მიუთითებს სახელშეკრულებო ურთიერთობის მიმართ მშობლების ცნობიერების ამაღლების საჭიროებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება ზოგადი ხასიათისაა და მისი შინაარსობრივი მხარე წარმოადგენს კანონის, წესდების, შინაგანაწესის ნორმების კომპილაციას, ის ყალიბდება, როგორც მხარეთა ურთიერთობის დოკუმენტურად რეგულირების მექანიზმი. აღნიშნული თვალსაზრისით, ხელშეკრულების ინსტიტუტი განვითარების საწყის ეტაპზეა და გულისხმობს გაუმჯობესების შესაძლებლობებს. საერთაშირისო პრაქტიკის გათვალისწინებით, უმჯობესი იქნება, უფრო დეტალურად გაიწეროს მშობლის ვალდებულება სკოლის სასწავლო პროცესში ჩართულობასთან დაკავშირებით, მაქსიმალურად გათანაბრდეს მხარეთა უფლება-მოვალეობები და გაიწეროს მათი უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმები.

საერთაშირისო პრაქტიკის გათვალისწინებით, უმჯობესი იქნება, უფრო დეტალურად გაიწეროს მშობლის ვალდებულება სკოლის სასწავლო პროცესში ჩართულობასთან დაკავშირებით, მაქსიმალურად გათანაბრდეს მხარეთა უფლება-მოვალეობები და გაიწეროს მათი უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმები.

თამუნია ჭინჭარაული
„დემოკრატია იწყება სკოლაში"
პროექტის მენეჯერი
ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში

მოზრდილთა ჩართულობა შვილების წარმატებისთვის – პროექტი „დემოკრატია იწყება სკოლაში"

პროექტი დაიწყო 2022 წელს და ხორციელდება ევროპის საბჭოს მიერ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.

ჩვენ ბევრს ვსაუბრობთ მოსწავლეებში დემოკრატიული კულტურის ჩამოყალიბებასა და მოსწავლეთა მონაწილეობაზე სასწავლო თუ სხვა პროცესებში. რა არის აუცილებელი ამ ყველაფრისთვის საჭირო უნარების პრაქტიკაში განვითარება-გამოყენებისთვის? უპირველეს ყოვლისა, ცხადია, საჭიროა სათანადო გარემო, დემოკრატიული კულტურის მასაზრდოებელი, რაც გულისხმობს მოსწავლის სრულფასოვან წევრად აღიარებასა და ჩართვას იმ გადაწყვეტილებებში, რომლებიც მის აკადემიურ, პიროვნულ თუ, სამომავლოდ, პროფესიულ განვითარებას ეხება. სკოლის დემოკრატიული მმართველობისათვის და დემოკრატიული კულტურის განვითარებისათვის კი მნიშვნელოვანია მშობლის აქტიური ჩართულობა.

სწორედ ასეთი გარემოს შექმნასა და მშობლის როლის გააქტიურებას ემსახურება ევროპის საბჭოს პროექტი „დემოკრატია იწყება სკოლაში". პროექტი დაიწყო 2022 წელს და მისი მთავარი მიზანია გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსწავლის მონაწილეობის გაზრდა, რათა ხელი შევუწყოთ დემოკრატიული კულტურის კომპეტენციებით აღჭურვილი წევრებისგან შემდგარი წარმატებული საზოგადოების განვითარებას.

პროექტის ფარგლებში არაერთი აქტივობა მიმდინარეობს, რომელიც ემსახურება მოსწავლის გააქტიურებასა და სკოლაში დემოკრატიული მმართველობის გაუმჯობესებას, სადაც სასკოლო საზოგადოება უფრო აქტიურად იქნება ჩართული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროდუქტია პრაქტიკული გზამკვლევი სკოლებისთვის, რომელიც წარმოადგენს იმ რეკომენდაციებისა და ქმედებების კრებულს, რომლებიც სასკოლო საზოგადოებას მოსწავლეების გაძლიერებასა და გადაწყვეტილების მიღებაში ჩართულობის გაზრდაში დაეხმარება.

გზამკვლევიდან, სადაც სპეციალური ნაწილი ეთმობა მშობლებს, რამდენიმე საინტერესო კომპონენტი შეგვიძლია გამოვყოთ: მშობლებისთვის მოცემულია თვითშეფასების ინსტრუმენტი, რომელიც დაეხმარება მათ რეფლექსიაში. მშობელს უწევს, გასცეს პასუხები ისეთ შეკითხვებს, როგორებიცაა: როგორც მშობელი, რამდენად მზად ხართ, ხელი შეუწყოთ მოსწავლეს საკუთარი მოსაზრებების გამო-

ხატვაში? იცით, როგორ უნდა დაეხმაროთ მას საკუთარი მოსაზრებების გამოხატვაში? მზად ხართ, გაითვალისწინოთ მისი მოსაზრებები? და სხვა.

მშობლებს, აგრეთვე, ვთავაზობთ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას ისეთ საკითხებში, როგორებიცაა: სკოლის ბიუჯეტში ჩართულობა მოსწავლის მონაწილეობის კომპონენტის გაძლიერებისთვის; სკოლაში სხვადასხვა საკითხზე ინფორმაციის მოთხოვნის პროცესში მოსწავლის ჩართვა; მოსწავლეთა მონაწილეობის მიმართულებით, მშობელთა/ მრჩეველთა/საკონსულტაციო საბჭოს შექმნა და სხვა.

პრაქტიკული ინსტრუმენტებით მშობლებს ვთავაზობთ იდეებს, თუ როგორ უნდა შეუწყონ ხელი სკოლის დემოკრატიულ მმართველობასა და მოსწავლეების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

გზამკვლევის პილოტირების მიზნით, 20 საპილოტე სკოლაში ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს ტრენინგები და ქოუჩინგი. აღსანიშნავია, რომ ტრენინგებში 240-მდე მშობელმა მიიღო მონაწილეობა, სადაც მათ სკოლის ადმინისტრაციასთან, მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან ერთად შეიმუშავეს სამოქმედო გეგმები სკოლებში მოსწავლეების გაზრდილი მონაწილეობისთვის. გეგმების განხორციელება ამ ეტაპზე აქტიურ ფაზაშია. ტრენინგებზე მშობლებს შესაძლებლობა ჰქონდათ, სკოლაში არსებულ გამოწვევებზე და საკუთარ ჩართულობაზე ეფიქრათ. მშობლების უმრავლესობას დედები წარმოადგენდნენ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ „დემოკრატია იწყება სკოლაში“ პროექტის ფარგლებში განხორციელებულ სამუშაო შეხვედრებსა და ტრენინგებში რამდენიმე სკოლაში მამებიც იღებდნენ მონაწილეობას, რაც ძალიან კარგი მაგალითი უნდა იყოს საზოგადოებისთვის. იმედია, რომ ეს ტენდენცია გაგრძელდება და მეტი მამა ჩაერთვება შვილების საგანმანათლებლო პროცესებში.

ტრენინგებზე მშობლები აღნიშნავდნენ, რომ სკოლის სხვა წარმომადგენლებთან და მოსწავლეებთან ერთად ასე არასდროს უმსჯელიათ მოსწავლეთა მონაწილეობის საკითხებზე და არ დაუგეგმავთ კონკრეტული ნაბიჯები. საინტერესოა, რომ პროექტის ფარგლებში შემუშავებულ სამუშაო გეგმებში მშობლებმა ისეთი პროექტები წამოიწყეს, როგორებიცაა მშობელთა საინიციატივო ჯგუფის ან მრჩეველთა საბჭოს შექმნა, სკოლაში მშობლების დახმარებით მოხალისეობრივი პროგრამების გააქტიურება, მშობლების მონაწილეობით სხვადასხვა თემატური წრის შექმნა, მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილების საკითხებზე ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობა, სასკოლო პოლიტიკის გაუჯობესება, მოსწავლეთა ჩართულობით ქცევის წესების შემუშავება და სხვა. სწორედ ასეთი პროექტები და ინიციატივები ქმნის დემოკრატიულ გარემოს და სწორედ ეს ჩართულობა დაგვეხმარება იმ ურთიერთობების განვითარებასა თუ უნარების გაუმჯობესებაში, რაც, საბოლოოდ, მოსწავლის წარმატებას განაპირობებს.

« **პრაქტიკული ინსტრუმენტებით მშობლებს ვთავაზობთ იდეებს, თუ როგორ უნდა შეუწყონ ხელი სკოლის დემოკრატიულ მმართველობასა და მოსწავლეების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.**

სოფიო ხვედელიძე
თბილისის 105-ე საჯარო სკოლის
დირექტორი

უფლებებისა და თავისუფლებების სწავლება – დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ჩარჩოს გამოყენებითა და მოზელთა ჩართულობით

თბილისის 105-ე საჯარო სკოლის პროექტი

შევადგინეთ მიზნობრივი კითხვარი დემოკრატიული კულტურის კომპეტენციებსა და დესკრიპტორებზე დაყრდნობით, ჩავატარეთ კვლევა და, ანალიზის საფუძველზე, დავადგინეთ, რომ ადამიანის უფლებების სწავლების კუთხით მეტი მუშაობა იყო საჭირო როგორც მოსწავლეებთან, ასევე, მასწავლებლებთან.

მოსწავლემ უნდა იცოდეს, რა უფლებები და პასუხისმგებლობები აქვს, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს, განსაზღვროს, როგორ უნდა მოექცეს სხვა ადამიანი მას და როგორ უნდა მოექცეს ის სხვას. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სწავლება მოსწავლეებისთვის უსაფრთხო გარემოს ქმნის. სწავლის პროცესში ისინი აკეთებენ აღმოჩენებს, აქვთ დისკუსიები, გამოწვევები, აყალიბებენ საკუთარ შეხედულებებსა და ღირებულებებს. უფლებების ცოდნა და მათი პატივისცემა მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს, იყოს ტოლერანტული.

უფლებების სწავლითა და გაცნობიერებით, სკოლაში შემცირდება ბულინგი და ძალადობა. იმისთვის, რომ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სწავლების პროცესიდან სრული სარგებელი მივიღოთ, აუცილებელია, სწავლება წარიმართოს ისეთ გარემოში, სადაც უფლებებსა და თავისუფლებებს პატივს სცემენ და იცავენ როგორც მოსწავლეები, ასევე, მასწავლებლები და სკოლის ადმინისტრაცია. სწორედ უფლებების სწავლების შესახებ დავგეგმეთ პროექტი, საერთო სასკოლო მიდგომის გამოყენებით.

ჩვენი სკოლა ორსექტორიანია და, სპეციფიკური საჭიროებიდან გამომდინარე, შევადგინეთ მიზნობრივი კითხვარი დემოკრატიული კულტურის კომპეტენციებსა და დესკრიპტორებზე დაყრდნობით, ჩავატარეთ კვლევა და, ანალიზის საფუძველზე, დავადგინეთ, რომ ადამიანის უფლებების სწავლების კუთხით მეტი მუშაობა იყო საჭირო როგორც მოსწავლეებთან, ასევე, მასწავლებლებთან.

ჩატარებული კვლევის მონაცემების ანალიზის საფუძველზე, მოვახდინეთ პრობლემების იდენტიფიცირება, შევქმენით სამუშაო ჯგუფები, განვსაზღვრეთ სამიზნე კომპეტენციები და დავგეგმეთ ინტერვენციები.

ჩატარდა 5 სამუშაო შეხვედრა მასწავლებლებთან, განისაზღვრა მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები, იმართებოდა მსჯელობა იმ სტრატეგიების შესახებ, რომელთა დახმარებითაც ისინი შეძლებდნენ სამიზნე კომპეტენციების განვითარებას მოსწავლეებში. შეხვედრებში აქტიურ მონაწილეობებას იღებდა ყველა კათედრა.

შემუშავებული გეგმის მიხედვით, ჩატარდა 58 გაკვეთილი და 35 სადამრი-

გებლო საათი უფლებებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში, განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- ფილმების ჩვენება/დისკუსია/ანალიზი;
- კაზუსების გახილვა/შეფასება/პრეზენტაციები;
- პრეზენტაციების მომზადება/წარდგენა;
- ლიტერატურის გაცნობა / ანალიზი / რეფლექსია.

ამ აქტივობების ფარგლებში შეიქმნა შემდეგი პროდუქტები:

- წიგნები;
- ბროშურები;
- პლაკატები /პოსტერები;
- კომიქსები;
- ესეები;
- ნახატები;
- მაკეტები;
- ვიდეორგოლები.

სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვა-განხორციელებისათვის ინტენსიურად ტარდებოდა შეხვედრები მშობლებთან. პროექტმა ინტერესი გამოიწვია მშობლებში და, შესაბამისად, მათი ჩართულობა იყო ნაყოფიერი. მათ მონაწილეობა მიიღეს სასკოლო გამოფენაში სახელწოდებით: „ჩემი უფლებები“.

პროექტის ფარგლებში განხორციელე-

» აუცილებელია, სწავლება წარიმართოს ისეთ გარემოში, სადაც უფლებებსა და თავისუფლებებს პატივს სცემენ და იცავენ როგორც მოსწავლეები, ასევე, მასწავლებლები და სკოლის ადმინისტრაცია.

ბული საქმიანობის შედეგად, გაიზარდა მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა ადამიანის უფლებების სწავლების მიმართულებით, გაუმჯობესდა სასკოლო კულტურა და სასწავლო გარემო, გამოვლინდა მოსწავლეთა ახალი ინიციატივები, განვითარდა თანამშრომლობითი კულტურა.

სკოლა ყოველ წელს გეგმავს მსგავსი პროექტის განხორციელებას დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ჩარჩოდან სხვადასხვა კომპეტენციის განვითარების მიზნით და, რა თქმა უნდა, მშობელთა აქტიური მხარდაჭერითა და ჩართულობით.

დაგვიკავშირდით

მოგვწერეთ, რა გაინტერესებთ

გაგვიზიარეთ თქვენი გამოცდილება, იდეები, ინიციატივები

ჩვენ შევეცდებით, არცერთი შეკითხვა არ დავტოვოთ უპასუხოდ

SKOLISMARTVA@TPDC.GE

www.tpdc.ge